საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი, 29 აპრილი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მანეთი. განცხადების ფასი ნონპარელ პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. პირველ გვერდზე 6 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15X2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნაწილ განცხადებისა არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: [illegible] ქ. [illegible] ქუჩის კუ. 15-თან. ტელეფონი 16—82

№ 95 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 95

1 მაისს, 12 საათზე სოფელ ჯაშნარში (გურიაში)
ძმათა სასაფლაოზე დანიშნულია

სამოქალაქო პანაშვიდი

ჯაშნარში და ოჩხამურში დაღუპულ მებრძოლთა პატივსაცემად. ოზურგეთიდან 11 საათზე პროცესია ჯარისკაცთა, გვარდიელთა და მოქალაქეთა გაემართება ჯაშნარისაკენ. მოუწოდებთ მოქალაქეებს მიიღონ მონაწილეობა.

პანაშვიდის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე გ. მურვანიძე, მდივანი შ. ჭოჭუა. (1413—3—3)

აპრილის 27 ფილტვების ანთებით გარდაიცვალა რკინის გზის ფოსტის შემოსავლის მოხელე

თედო კოგალაძე

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ამხანაგებს მეუღლე მისი ქეთევანი შვილებით. პანაშვიდები ყოველ დღე საკუთარ ბინაზე [illegible] ავჭალის შესახვევი № 5, რკინის გზის სადგურთან ნაძალადევში. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 29 აპრილს წმ. ნინოს სასაფლაოზე (1431 1—1)

ტფილისის რკინის გზის ფოსტის განყოფილების მოსამსახურენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს

თევდორე მიხეილის ძე კოგალაძის

უდროოდ გარდაცვალებისას. გამოსვენება ბინიდან ავჭალის ქუჩის № 6, დილის 10 საათზე, წმინდა ნინოს ეკლესიაში. დაკრძალვა იმავე სასაფლაოზე, 29 აპრილს, 1920 წ. (1435—1—1)

ცირკი
„იპპოდრომი"
(ყოფილ ძმ. ეფიმოვებისა) პლეხანოვის პროსპექტი მუშტაიდის მახლობლად.
ხუთშაბათს 29 აპრილს
დიდი ორიგინალური ეფექტიანი წარმოდგენა 3 დიდ განყოფილებათ 18 №-რი მთელი ტრუპის მონაწილეობით.
ა. ა. დუროვის გასტროლების გაგრძელება. დებიუტი კომიკ აკრობატ ტრიო ალექსისა.
„წითელი მეფისტოფელის" დებიუტი
ანონსი: ხვალ გრანდიოზული ბენეფისი ა. ა. დუროვისა. კვირას 2 მაისს საბავშვო წარმოდგენა, დასაწყისი დღის 1 საათზე. დირექცია ს. ნ. ქუთათელაძე და ლუის ბუფალო. ადმინისტრატორი ი. პ. ივანოვი.

კვირას, 2 მაისს, ქ. სამტრედიაში დილის 10 საათზე ს. დ. კლუბში დანიშნულია გაგრძელება სამტრედიის

სოც. დემ. რაიონული თათბირისა

მოწვეულ ს. დ. პარტიულ ყრილობაზე გასარჩევ კითხვების გასაშუქებლად. თათბირზე დასწრება შეუძლია ს. ს. დ. მ. პარტიის ყველა წევრს. ხელმძღვანელი და პასუხისმგებელ ადგილებზე მყოფ ამხანაგებისათვის კი სავალდებულოა. საჭიროა [illegible] ფართოდ მიიღონ მონაწილეობა თათბირის ამ მუშაობაში.

თათბირის პრეზიდიუმი. (უ. 3—1)

სრულიად საქართველოს
მეაბრეშუმეთა ყრილობის ბიურო
მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ შემოწმებული საუკეთესო ფირმების (ხრისტოდულიდის და სხვ.)
აბრეშუმის თესლი
შეძენა შეღავათიან პირობებში შეიძლება თფილისის და ქუთაისის სააბრეშუმო სადგურებში, კოოპერატივებში, თემში, ქალაქის თვითმართველობაში, სარაიონო კავშირში—ხონში, სამტრედიაში, აბაშაში, ახალსენაკში, ზუგდიდში, ოჩემჩირეში, სოხუმში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ოზურგეთში, საჯევახოში, ზესტაფონში, ონში, ცაგერში, თელავში, გორში, სიღნაღში და სხვა. (ნ. 3—3)

პარიზიდან ჩამოსული ვაჭარი ყიდულობს ძვირფას ნივთებს,
ბრილიანტებს, მარგალიტებს. ზურმუხტს
და სხვ. მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ი. ქ. [illegible], კავკასიის ბანკი, შტაბის ქ. № 4, ყოველ დღე დილის 10—2 საათ. (1359 6—6)

ბორჩალოს მაზრის ყველა პარტიულ ორგანიზაციებს

კვირას, 2 მაისს ახ. სტ. კოლონია ეკატერინენფელდში დანიშნულია ბორჩალოს მაზრის ს. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა

საერთო ყრილობა

ყველა სოფლის ორგანიზაციები აგზავნის ყრილობაზე თითო წარმომადგენელს ყოველ 10 პარტიის წევრზე. დღის წესრიგში იქნება: 1) მოხსენებანი ადგილებიდან პარტიულ მუშაობაზე; 2) ცენტრალური კომიტეტის მიერ წამოყენებულ კითხვების გარჩევა; 3) სამაზრო კომიტეტის არჩევა და 4) მიმდინარე კითხვები.

(უ. 3—3) დროებითი საორგანიზაციო ბიურო.

სათადარიგო ჯარისკაცების საყურადღებოდ

ამით ცხადდება, რომ იმ შემთხვევაში თუ მობილიზაცია მოხდება, სათადარიგო ჯარისკაცებს, რომლებიც ჯარის ნაწილებში (სამხედრო დაწესებულებებში და სამმართველოებში) გამოცხადდებიან სახმარებლად სრულიად ვარგის საკუთარ ტანისამოსში და ფეხსაცმელებში (ჩექმებში ან ბათინკებში), მიეცემათ ნივთების ღირებულობა მათი ვარგისობის მიხედვით შესაფერი ფასები თანახმად უკვე დამტკიცებულ ბრძანებისა. (ნ. 3—1)

სამხედრო ტყვეებს ავსტრიიდან ჩამოსულებს

გთხოვთ თუ რამე იცით

ანდრია პოპერიძის

შემატყობინოთ—რესტორანი „ქიმერიონი". კონსტანტინე გაგნიძეს დილის 12 საათ. ღამის 10 საათ. (1427 2—1)

ბოლშევიკური გადატრიალება ბაქოში

27 აპრილს, დილით, ბოლშევიკურმა ჯარებმა გადალახეს აზერბეიჯანის საზღვარი. იმავე დღეს 1 საათზე მათი ჯარის ნაწილები [illegible] ხაჩმასში მოვიდნენ 28 აპრილს ღამის ორ საათზე ისინი უკვე ბალაჯარაში არიან, ბაქოში ბოლშევიკური გამოსვლა ხდება და ბაქო მათ ხელში გადადის. მხოლოდ ამ ფაქტების აღნიშვნაც კმარა იმის გასაშუქებლად, თუ როგორ მოხდა გადატრიალება აზერბეიჯანის რესპუბლიკაში. აქ არ იყო არავითარი ომი, არავითარი თავდაცვა; ბოლშევიკები მოდიოდნენ ჩრდილოეთიდან ისე, როგორც ჩვეულებრივი პასაჟირები მოდიან სასწრაფო მატარებლით. მათ წინ არ დახვედრიათ არავითარი წინააღმდეგობა, არავითარ ჯარს არ შეუშლია მათთვის ხელი. არც ერთი ხიდი არ აუფეთქებიათ, რკინის გზაზე ერთი რელსიც არავის აუყრია. გადმოლახეს საზღვრები და ჯავშნიან მატარებლებით მიადგნენ ბაქოს; ბაქოში კი უკვე წინადვე იყო დამზადებული ბოლშევიკების თანამგრძნობი ელემენტები, რომელთა მზადყოფნასაც თითქმის არავინ უშლიდა ხელს. გარედან ბოლშევიკების ჯავშნიანი მატარებლები, შიგნიდან აჯანყება და მთავრობის სრული უმწეობა, უძლურება და უძრაობა. მოხდა ის, რაც ხდებოდა სამხრეთ რუსეთში: საბჭოთა რუსეთის ჯარების „ძლევამოსილებას" მხოლოდ იქ ჰქონდა ადგილი, სადაც მათ არავითარი წინააღმდეგობა არ ხვდებოდა, სადაც მათ წინასწარ გამზადებული ჰქონდათ გზები, სადაც ადგილობრივ მოშლილი იყო ყოველი თავდაცვითი ორგანიზაცია, რომელსაც სერიოზული ჰქონდა ძალა-უფლების ხელში შენახვა და მის დასაცავად ბრძოლა მომდგარ მტერთან.

ამგვარად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა რიგიდან გამოვიდა ერთი წევრი. რა თქმა უნდა, ჩვენთვის, საქართველოსთვის, ერთის მხრით ეს ძლიერ სამწუხაროა: საკმარისია იმ გარემოების გახსენებაც, რომ აზერბეიჯანთან ჩვენ კეთილ-მეზობლურ განწყობილებაში და მშვიდობიან ურთიერთობაში და თანამშრომლობაში ვიყავით; დღეს კი მის ადგილას ჩნდება ახალი მეზობელი, რომელთანაც ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა განწყობილება გვექნება, რომელიც, როგორც მის მეთაურთა მიერ საქართველოს მიმართ აღებულ ტონიდან სჩანს, უფრო სამტროდ მოდის, ვიდრე სამეგობროდ.

მაგრამ 28 აპრილის გადატრიალებას საქართველოსთვის თავისი დადებითი მხარეებიც აქვს. ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ძლიერ წააგავს იმ მდგომარეობას, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით სწორედ ორი წლის წინათ, იმ დროს, როდესაც ამიერ-კავკასია ერთს მთლიან რესპუბლიკას წარმოადგენდა და როდესაც მის წინააღმდეგ სამხრეთიდან მოიწევდა ოსმალეთის არმია. საქართველო გამოუვალ მდგომარეობაში იყო: მისთვის ცხადი იყო, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილები ერთნაირად არ უცქერიან მომდგარ მტერს, რომ ერთი ამ ნაწილთაგანი ღიად დიდი თანაგრძნობით ხვდებოდა მას. საქართველოს ხელმძღვანელი პარტია ხედავდა, რომ ამისთანა მოკავშირეებთან ერთად თავდაცვის საქმის მოწყობა შეუძლებელია. ამიტომ გადაწყდა—საქართველო გამოეყოს ამიერ-კავკასიის მთლიან რესპუბლიკას და თითონვე იკისროს თავდაცვის მოწყობა. და ყველამ იცის, როგორი მძიმე გამოდგა ასეთი გადაწყვეტილება.

ბოლშევიკების მოახლოვების დროს ამიერ-კავკასია ერთს მთლიანს რესპუბლიკას არ წარმოადგენდა, მაგრამ მეზობლებთან საქართველო პირობით იყო შეკრული, რომ თავდაცვას ერთად მოაწყობენ. მაგრამ აქაც განმეორდა სწორედ ის, რასაც ადგილი ჰქონდა ორი წლის წინათ: აზერბეიჯანმა აქაც ვერ გამოიჩინა თავდაცვის ხალისი, აზერბეიჯანში ამ შემთხვევაშიც ბევრი ის ელემენტები აღმოჩნდა, რომლებიც ოდნავ დაფარულის თანაგრძნობით ეგებებოდნენ მომდგარ მტერს და სიხარულით უხსნიდნენ მას გზას.

დღეს როდესაც საქართველოს ფარგლებს [illegible] მოკავშირე აზერბეიჯანის მხრით, მისი მდგომარეობა ბევრად უფრო გარკვეული ხდება: მან იცის, რომ ერთად ერთი ძალა, რომელიც გადაარჩენს მას გარეშე მტრისაგან, არის თავისი საკუთარი სამხედრო ძალა, მის მცხოვრებთა მიერ თავდაცვის საჭიროების შეგნება, მის დემოკრატიის სიმტკიცე [illegible] დაცვაში, რაც რევოლუციის დღიდან ჩვენმა ქვეყანამ შეიძინა, და ანარქიის თავიდან აშორებაში.

ჩვენი მდგომარეობა დღეს იქნება უკეთესიც იყოს, ვიდრე გუშინ. ჩვენი ახლო პერსპექტივა ნათელი და გამორკვეულია. ჩვენ დღეს ხელში გვაქვს გახსნილი და შეგნებული თავდაცვა მოვაწყოთ ისე, როგორც ამას მხოლოდ ჩვენი საკუთარი ინტერესები გვიკარნახებს. ამისთანა მდგომარეობა ჩვენთვის ყოველთვის ხელსაყრელი ყოფილა. როდესაც ჩვენს რესპუბლიკას უწარმოებია თავდაცვის საქმე, მუდამ გამარჯვებით გამოსულა საფრთხიდან. მან თითონ მოიგერია სამხრეთიდან მომდგარი ოსმალეთი. მან თავისი ძალებით უკუაქცია და [illegible] საზღვრებში შემოჭრილი შავი რუსეთი. მცხოვრებთა დემოკრატიული შეგნება და რევოლუციური აღმაფრენა, რომელიც მუდამ ასულდგმულებდა ჩვენს ქვეყანას, შეძლებას მისცემს მას ანგარიში გაუწიოს „წითელ" რუსეთს, რომელიც იმ ჯარს გზავნის საქართველოს ასაკლებად და ასაოხრებლად, რასაც წარსულ წელში გზავნიდა შავი რუსეთი.

საბჭოთა რუსეთმა უომრად შეიერთა მთელი სამხრეთი რუსეთი, რადგან იქ მას არ დახვდა არავითარი ძალა, რომელსაც შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია მისთვის: შედარებით იმ შავ რეაქციასთან, რომელიც იქ მძვინვარებდა, „წითელი" რუსეთი მცხოვრებთათვის მაინც უფრო მისაღები გამოდგა. საქართველო ერთად-ერთი ნამდვილი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციაა, რომელთანაც საბჭოთა რუსეთს ექნება საქმე. ამ სახელმწიფოში ხალხის ხელმწიფება განმტკიცებული. ჯაშუშური და კერძოობითი აქ [illegible] ეწირება მიწას. და აქ ადგილი არა აქვს უმცირესობის დიქტატურას უმრავლესობაზე და თუ საბჭოთა რუსეთმა არ მოინდომა ჩვენი ხალხის ნებისყოფის ანგარიში გაუწიოს, იგი დაინახავს, რომ ჩვენს ხალხს უნარი შესწევს მტერს მტრულად დახვდეს და უკუაგდოს იგი ისევე, როგორც უკუაგდო ყველა მტერი, რომელიც მის დემოკრატიულ სამშობლოს დამოუკიდებლობას ემუქრებოდა.

საერთაშორისო მდგომარეობა და ჩვენი მომავალი

ისეთ ხანაში, როგორიც ჩვენ ვცხოვრობთ, ამა თუ იმ ერის ბედი დამოკიდებულია ორი ფაქტორისაგან: ერთი არის საერთაშორისო. მის გარეშე შექმნილი მდგომარეობა და ხოლო მეორე მისი შინაგანი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. შეიძლება რომელიმე ერის გარეშე, მის მეზობლად, ხდებოდეს ძირითადი ცვლილებები და ეს მხოლოდ ზერელედ ახდენდეს მასზედ გავლენას. რუსეთმა და ცენტრალურმა ევროპამ ამ ორი წლის განმავლობაში დიდი ცვლილება განიცადა. თუ რუსეთის რევოლუციამ ერთნაირი გავლენა მოახდინა გერმანია-ავსტრია უნგრეთზე, სამაგიეროდ გერმანიის რევოლუციამ შეუმოკლა სიცოცხლე უკრაინიის რეაქციონურ მთავრობას და შეძლება მისცა პოლონეთს მოეხდინა მისი გაფართოება. მაგრამ იმავე დროს ამ ქვეყნების რევოლუციებმა ვერავითარი გავლენა ვერ მოახდინეს ოსმალეთის შინაურ წყობილებაზედ. სამაგიეროდ უკანასკნელის სახელმწიფოს მთლიანობაზედ გადამწყვეტი გავლენა იქონია მოკავშირეების გამარჯვებამ.

ჩვენი პატარა რესპუბლიკის ბედიც დამოკიდებულია არა მარტო შინაურ ძალთა განწყობილებაზედ, არამედ ევროპის სოციალურ პოლიტიკურ ვითარებაზედ და საერთაშორისო ძალთა განწყობილებაზედ. ეს დებულება ჩვენი დემოკრატიისთვის უდავოა. შევეცადოთ დაახლოვებით მაინც გავერკვიოთ ჩვენს გარეშემო შექმნილ ურთიერთობაში.

საბჭოთა რუსეთი, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებს, ბუნებრივ კავშირშია ოსმალეთის ნაციონალისტებთან. შეიძლება მათ შორის არავითარი ფორმალური ხელშეკრულება არ არსებობდეს (ისიც შეიძლება რომ იგი არსებობდეს), ეს არ სცვლის მდგომარეობას. ორივე ძალა, მტრულად განწყობილი მოკავშირეთა წინააღმდეგ, ბუნებრივად ერთდებიან. იმავე დროს საბჭოთა მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს მოკავშირეებთან და განსაკუთრებით ინგლისთან, რაც შეეხება ოსმალეთის ნაციონალისტებს, რომლებიც ფაქტიურად გაბატონებულნი არიან მცირე აზიაში, ისინი არავითარ მოლაპარაკებას არ აწარმოებენ მოკავშირეებთან (და ვერც აწარმოებენ). საბჭოთა რუსეთის მოლაპარაკება კოპენჰაგენში ერთ და იმავე დროს სერიოზულიც არის და ფიქტიურიც. სერიოზულია იმიტომ, რომ რუსეთს სჭირია დასვენება და ძირიანად დანგრეულ ეკონომიურ ცხოვრების ცოტად თუ მეტად შეკეთება. ამისთვის მას უნდა სურდეს არა მარტო ჯარების ნაწილების შორის მეზობლებზე გადაყვანა, არამედ ევროპის ტექნიკური დახმარებაც. ეს მოლაპარაკება არის—სერიოზულია იმდენათ, რამდენათაც საბჭოთა მთავრობა პირველსავე მისი აზრით ხელსაყრელ შემთხვევაში დაარღვევს ამ ხელშეკრულებას. ეს მშვენივრად ესმით მოკავშირეთა ხელმძღვანელებს, რომლებიც, თავის მხრივ, საბჭოთა მთავრობას უცქერიან, როგორც დროებით მოვლენას და დღევანდელ რუსეთის ვითარებას გარდამავალ ხანად სთვლიან. სხვადასხვა მოწინააღმდეგე მოსაზრებით, ორივე მხარე საჭიროდ სცნობს ერთნაირ ურთიერთობის აღდგენას. თუ ეს ამ მოკლე ხანში შესაძლებელი შეიქნა, პირში ჩალა გამოვლებული დარჩება საბჭოთა რუსეთის მოიმედე ქემალ-მუსტაფა ფაშა და მისი მიმდევრები. ჩვენ გვახსოვს ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკება და ფინლიანდიის ბედი. მაშინ ფინლიანდიის უდიდესი ნაწილი საბჭოების ხელში იყო და ლენინიც მას დახმარებას ჰპირდებოდა. მაგრამ „ბრესტ-ლიტოვსკის დასვენებას" მან შესწირა მისი თანამოაზრეები ჰელსინგფორსში და გერმანიის ჯარების მიერ ფინლიანდიის კომუნისტების ძლევის წინააღმდეგ პროტესტიც არ განუცხადებია. თუ დღეს ინგლისი ან ამერიკა მას მისცემს ათას ვაგონს და ორთქლმავალს, ქემალ-ფაშა დარჩება თავისი ძალების ამარა. მართალია, ეს ძალები მოუსვენარ ელემენტად იქნებიან ჩვენს საზღვრებში, მაგრამ, ჩამოშორებული საბჭოთა რუსეთის დახმარებას, ის რესპუბლიკისთვის, დღევანდელ პირობებში უდიდესი საფრთხე აღარ იქნება.

მაგრამ მოსალოდნელია მეორე მდგომარეობა. საბჭოთა რუსეთის და მოკავშირეების მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვა და მაშინ რუსეთი ოსმალეთს შეუერთდება. ეს განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის. ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკა დღემდის ფაქტიურად სხვა და სხვა ორიენტაციაზედ სდგას. აზერბეიჯანის სახელმწიფოებრივი აზრი ოსმალეთისკენ იხრება. ჩვენ არავის ვიცნობთ „იტტიხადის" პარტიაზედ, რომელიც ნამდვილად ოსმალურია. თვით იმ წრეებს, დემოკრატიულსაც, რომლებიც ფორმალურად მაინც დამოუკიდებლობის პრინციპს იცავენ, მთელი თავისი არსებით სძულთ სომხები. ამ ნიადაგზე ისინი სრულებით ერთად არიან ოსმალეთის ნაციონალისტებთან თუ ოსმალეთის იდეის მატარებელი პარტია ბაქოში საბჭოთა რუსეთთან კავშირს ქადაგებს ანტანტის წინააღმდეგ საბრძოლველად, ეს ფაქტიურად იქნება არა ინგლისელების ძლევა, რომლებიც სანთლით ვერ მოძებნი ბაქოში, არამედ სომხების აკლება. ოსმალეთ-რუსეთის კავშირს უნდა მოჰყვეს ბაქოს აღება და რუსეთის ჰეგემონია არა მარტო კავკასიაში, არამედ მცირე აზიაში და სპარსეთშიაც. ხოლო ოსმალეთის ნაციონალისტების და საერთოდ პანისლამისტების იდეა არის მუსულმანთა განთავისუფლება არა მარტო სათათრეთში, არამედ რუსეთშიაც, სადაც ისინი მილიონობით ცხოვრობენ. რუსეთის და ოსმალეთის კავშირი ამ შემთხვევაში, იქნება მეტად ხანმოკლე და წარმავალი, ხოლო მათი ანტაგონიზმი კი, როგორც სოციალური, ისე ნაციონალური, უფრო ძლიერი და ხანგრძლივი. ამ ანტაგონიზმით უნდა ისარგებლოს საქართველოს რესპუბლიკამ თავის დასაცავად და დემოკრატიის განსამტკიცებლად. მით უფრო, რომ, ახლა ომში გართული რუსეთი ძლიერ ნელა დაინახავს მიზანს [illegible] განაპირა ქვეყნების აღდგენას ([illegible] უკრაინაში) და მისი ძალების დემობილიზაციას.

ორივე შემთხვევაში (საბჭოთა რუსეთის ევროპასთან ზავი, თუ ოსმალეთის ნაციონალისტებთან ერთად სამხედრო ავანტიურა) საქართველოს რესპუბლიკის მომავალი უზრუნველყოფილი იქნება, თუ შენარჩუნებულ იქნა ერთი აუცილებელი პირობა. ეს არის მისი დემოკრატიის სიმტკიცე და მედგრობა, [illegible] კავშირი და ერთსულოვნება. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის ბედი დღეს დამოკიდებულია უფრო შინაურ ძალების სიმაგრეზე, ვიდრე მისთვის დროებით საერთაშორისო არა ხელსაყრელ პირობებზედ.

ბ. [illegible]

კომუნისტურ ჩრდილო კავკასიაში

(გაგრძელება)

ბუდიონის „ოპრიჩნიკები"

ასე უწოდებენ ყუბანში ბუდიონის „[illegible]" ცხენოსან ჯარს, რომელზედაც ასე ბევრს სწერენ [illegible] ბოლშევიკები, ხოლო თვით ეს ჯარი [illegible], მას მართლაც [illegible] კავალერია, რომელიც შიდა რუსეთიდან მოდის და რომელიც სამ თვეში კავკასიონის ქედს მიადგა.

თვით ბუდიონი ერთი უბრალო ყაზახია, ერთ-ერთი ყაზახის პოლკში ძველად ვახმისტრათ ნამყოფი. ბუდიონის ცხენოსანი ჯარი რიცხვით და ზარით მტრისთვის, ბოლშევიკების წარმოდგენით ის დაუმარცხებელი წითელი ძალაა, რომელიც თავის გზაზე ანადგურებს „ბელოგვარდეისკაია გადინას" და ათავისუფლებს [illegible] სამხრეთ რუსეთს. ამ ჯარის რიცხვი [illegible] არავინ იცის, ეს თვით კომუნისტებსაც გაუძნელდებათ. სხვადასხვა დროს ბუდიონს სხვა და სხვა ძალა ყავდა, სხვადასხვა ყაზახობისგან შემდგარი. მართალია, ბუდიონის კავალერია წითლად ითვლება და თვით ამ არმიის შტაბი უწოდებს თავის ჯარს „კრასნი კავალერისტს", მაგრამ ეს ჯარი სხვადასხვა ფერადოვან შემადგენლობისაგან შედგება, თუმცა ერთი განსაკუთრებული [illegible]

დღეს

ინგლისური ცნობით პოლონეთის ფრონტზე ბოლშევიკები უკან იხევენ.

პოლონელებმა კიევში აეროპლანებიდან ყუმბარები ჩაყარეს.

— —

ბაქოდან მიღებული ცნობით 27 აპრილს ღამით ქალაქში უბრძოლველად შევიდა საბჭოთა ჯარი.

ოფიციალური ცნობა. ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებზე შექმნილი მდგომარეობის გამო მთავრობამ დაადგინა: დაარსდეს „რესპუბლიკის თავდაცვის საბჭო“ მთავრობის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით. საბჭოში შედიან: სამხედრო, შინაგან და საგარეო მინისტრები, სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენ. გედევანიშვილი, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარე და ყველა შეიარაღებული ძალების უფროსი.

რესპუბლიკის ყველა შეიარაღებულ ძალთა მთავარ სარდლად დაინიშნა გენერალი კვინიტაძე.

თავდაცვის საბჭოს დადგენილებით სამხედრო წესებია გამოცხადებული ქალაქ თფილისში და შემდეგ მაზრებში: თფილისის, სიღნაღის, თელავის, ბორჩალოს, თიანეთის, დუშეთის, ახალციხის და ახალქალაქის. გამოცხადებულია მობილიზაცია 1894 და 1895 წ. დაბადებულ ახალგაზრდების.

და წითლებით და წითელ ლენტებს და ვარსკვლავიან კასკებს ატარებენ. ამ ჯარის დამახასიათებელი ის არის, რომ „კაბილკა“, მობილიზაციით გამოყვანილი ხალხი ნახევრად ურჯულოა, ეს ჯარი „იდეურია“, თავისი ნებით შემდგარია და აკავშირებს მას არა დამორჩილების მოვალეობა, არამედ ის, რასაც ქვეითა დივიზიებში უწოდებენ „ბანდიტებს“. საქმე იმაშია, რომ ბუდიონის მთელი არმია პირველად ყოვლისა შესდგება თავზე ხელ აღებულ ხალხისაგან, რომელთაც პირველად ახსოვთ ძარცვა, შემდეგ დახვრეტა, ხოლო ამის შემდეგ ქალების ცხენებით განადგურება. ბუდიონის ლეგიონელი ცხენოსანი ყაზახი, რომელიც ამა თუ იმ სტანიციდან უერთდება ბუდიონს, რასაკვირველია, წითელ ყაზახად ითვლება, ხოლო ესევე ყაზახი ერთი კვირის, ან თვის წინეთ „ბელოგვარდეისკაია ბანდა“ იყო“. ასეთი ფერისცვალება თეთრიდან წითელზე რუსეთში ძლიერ ჩვეულებრივი მოვლენაა, მარა ფერისცვალება განსაკუთრებით ახასიათებს ბუდიონის ჯარს. განსაკუთრებით ყველა დანარჩენ ჯარებიდან ბუდიონის „არწივებს“ აქვთ თავზე კასკები წითელი ვარსკვლავებით მოქარგული.

ამ ჯარის ცხენები ყველაზე კარგია, ვინაიდან შიდა რუსეთიდან დაყოლილი ჯარისკაცები იცვლიდნენ ცხენებს და ვინ იცის ეხლა რამდენი მათგანი ზის მეოცე ცხენზე, ხოლო ვინ არ იცის, თუ რამდენი ცხენია ყაზახთა დონის და ყუბანის გაზაფხულზე. ტანთსაცმელიც კი ისეთი ჭრელია, როგორც სხვა ჯარებში, ვინაიდან ეს თვითონ უნდა ეშოვნა ჯარისკაცს და, ვინც როგორც იშოვა, ვინც ვისი გახადა მოკლულს, მას ის ტანთსაცმელი დარჩა. საერთოდ ტანთსაცმელის გახდის საკითხი წითელ ჯარის მოქმედების ასპარეზზე ძალიან პოპულარული და ადვილად გადასაწყვეტი საკითხია. ხშირად თეთრ გვარდიელთა მთელი პოლკები ტყვედ წაყვანილნი უნდა გატიტვლდნენ, ვინაიდან წითელ ჯარისკაცებს სჭირდებათ ფეხსაცმელები, ფრენჩები და შინელები, ხოლო ტიტვლად დარჩენილი „ბელოგვარდეისკაია ბანდა“ ხელს იღებდეს და თავის მხრით ბრძოლის გზაზე სხვა „თეთრ-გვარდიელებს“ ხდის ტანზე და ხშირად ისეთ თავის ამხანაგ პოლკებს, რომელთაც უმსახურნიათ ამ სამი წლის განმავლობაში ყველა მთავრობასთან, ვინ იცის რამდენჯერ არ გაუცვლიათ ერთმანეთისთვის ტანთსაცმელი, რამდენჯერ არ უცვლიათ ფერი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის დარჩენილა მაინც ერთ და იმავე მდგომარეობაში. მაგრამ ამ საკითხში ყველაზე დაზარალებულია, რასაკვირველია, ქვეითი, ხოლო ყველაზე დაჩაგრულია „კაბილკა“. ქვეითი ასწრებს ყველას წინ ვლის და ცხადია საუკეთესო ნადავლიც მისია, ხოლო ნადავლად, ვინ იცის, რა არ ითვლება. ხშირად მოხალისენი სტანიციებიდან უკან დაბრუნების დროს მიერეკებოდნენ ცოცხალ საქონელს, რომ მტერს არ დარჩენოდა, ზოგჯერ ვერც მოასწრებდნენ ამ საქონლის სოფლიდან გარეკვას, მარა წითელი ჯარი მას მაინც ნადავლად სთვლიდა.

და აი, ასეთ ნადავლით განსაკუთრებით სავსეა ბუდიონის ჯარი, რომელიც ხან სოკოსავით იზრდებოდა და ხან კი დნებოდა.

ქვეითი ჯარების ზოგი ხელმძღვანელები ამბობდნენ: „ბუდიონი მოგვასწრებს მიწყივ მოსკოვში გამარჯვებაზე, ის მიიღებს დიდებას, ხოლო ჩვენი „კაბილკა“ კი თავს იკლავსო“.

მართლაც ამ მხრით ყველაზე მარჯვე ბუდიონი, რომელზედაც ზღაპრულ თქმულებებს გაიგონებთ რუსეთში, მარა ეს თქმულებები შეეხება უფრო სიმარჯვეს თუ როგორი ქარიშხლით დაატრიალებენ მისი „არწივები“ ამა თუ იმ სტანიცას. და ამ დატრიალებამ „ბანდიტურმა“ მოქმედებამ ხალხი გაამწარა. კიდევ იამინდნენ მას გზაში ბევრის დროს, მაგრამ შენი მტერი, თუ ბუდიონი რამოდენიმე ხანს დარჩა ერთ ადგილას, მის ნაკვალევზე შემდეგ ბალახი აღარ ამოდა. და როცა ყუბანი დაიპყრეს ბუდიონი გაჩერდა არმავირის და მაიკოპის მიდამოებში, სადაც „არწივები“ შეუდგნენ არწივობას და ხალხი გაძარცვეს. ვინც მარჯვე იყო ადგილობრივ ყაზახებიდან და ბუდიონის მხვედრ ბედს ეძებდა საბჭოთა მთავრობის დასაცავად, ისინი, რასაკვირველია, ჩაეწერნენ ამ კავალერიაში, ხოლო დანარჩენნი თეთრ გვარდიელობისთვის, როგორც თვითონ ამბობდნენ [illegible] შეინახნენ.

ბრძოლის გათავების შემდეგ ბუდიონის 5000 კაცზე მეტი აღარ დარჩა, ხოლო არმავირ მაიკოპი ამასაც ვერ იტანდა. და აი, მოსკოვის მთავრობამ ბუდიონს მიუჩინა ახალი საქმე, მას პოლონეთის ფრონტზე დაუპირეს გაგზავნა, ხოლო გზით ეკატერინოსლავის გუბერნიაში უნდა გაევლო და მახნო გულიაიპოლეში დაემარცხებინა.

საქმე იმაშია, რომ მახნო არ ისვენებს, ან როგორც თვით ამბობენ, ვერ მოისვენებს, რადგანაც მისი ბუნება ყოფილა ებრძოლოს ვინც გაიმარჯვებს და ეხლა რადგანაც კომუნისტებია გამარჯვებული, ისიც მათ ებრძვის. და აი, ალბათ, მახნო და ბუდიონი, ეს ორი ტიპი რუსეთის კომუნისტური სინამდვილისა მალე შეხვდებიან ერთმანეთს გულიაი პოლეში, მარა მთავარი ის ხომ მთელი რუსეთიც „გულიაი პოლეა“, სადაც ამ ყარებზე კომუნისტურ წესრიგს და წითელ დისციპლინას.

წითელი არტილერია.

წითელი არტილერია შესადარისია ისეთ ჯარის, როგორიც ზევით დავახასიათეთ. მათ ამ ჟამად უცხოური ზარბაზნები აქვთ, მაგრამ გამოყენება ხშირად ნაწილის შეუძლიათ, ვინაიდან სპეციალისტები ნაკლებათ და აფუჭებენ საქმეს. თან ყუმბარებიც ნაკლებათ არის, ვინაიდან შიდა რუსეთიდან მოტანა ძნელდება, ხოლო რაც დენიკინის სამფლობელოში იყო, ის მთავრობის გაფუჭებულ იქნა. ცხენები, რასაკვირველია, კარგები ჰყავთ, ვინაიდან დღეს ორივე არმიის—წითლების და თეთრის ქონება ფაქტიურად გაერთიანდა და რაც საღი და კარგი იყო კომუნისტურ ჯარებს დარჩათ. მაგრამ ყველა ნაწილებს უმთავრესად აწუხებს ცხენების დაუძლურობა, ვინაიდან ნალები არსად იშოვება და მთებში კი ცხენები სრულიად ნალ ეულდება. ამ ჟამად არტილერიის ხელმძღვანელები კომუნისტებს თანდათან ემტერებიან, ვინაიდან დენიკინის ლაშქრიდან დარჩენილი ოფიცრობა მრავლად ერევა წითელ ჯარში. მართალია, დღემდე ნაკლებათ ყავდათ ხელმძღვანელები და ხშირათ უბრალო ჯარისკაცები იდგნენ ამა თუ იმ სპეციალურ დარგში, მაგრამ უკან სანგრებიდან დენიკინის არმიიდან ეს ყველა დენა ოფიცრობამ წითელ ჯარში მოიყვანა, როცა ტყვე ოფიცრები აცხადებენ კომუნისტების თანაგრძნობით და წითელ არმიაში უნდა ილებდნენ. დღეს ასეთი ოფიცრობა ამ ჯარში თითქმის ორი მესამედია და მიუხედავათ იმისა, რომ ის გუშინ თეთრი გვარდიელი იყო, დღეს წითელ ოფიცრობას ხელმძღვანელობს, საერთოდ ფერისცვალებას არც ისინი ჩამორჩნენ.

ამგვარათ, საერთოდ წითელი არმია ამჟამად, როგორც კლასიური ორგანიზაცია აღარ არსებობს, ის მხოლოდ სახელით არის წითელი, ნამდვილად კი რუსეთის არმია, რომელიც არაფრით არ განსხვავდება იმპერიალისტურ ჯარისგან. თავის ფერუნელ სიწითლეს ეს ჯარი შეინახავს მხოლოდ მანამ, სანამ სამოქალაქო ომის ცეცხლი ჩაუქრობელია და თანდათან, როცა დრო გავა, ის მიიღებს მხოლოდ რუსეთის არმიის ხასიათს, რომლის დროშაზე აწერია რუსეთის გაერთიანება. და რომ ეს ასეა ამას ქვევით დავინახავთ.

რუსეთის ნაციონალური მოძრაობა

ჩვენ ზევით დავახასიათეთ წითელი ჯარი, მისი შემადგენელი ნაწილები, ეხლა გავიგოთ რა ამოძრავებს ამ ჯარს, რა აწერია მის დროშაზე. განთავისუფლებულ პატარა ერებისთვის საშიში არ არის წითელი არმია, როგორც კლასიური ორგანიზაცია, ვინაიდან ამ იდეით ის დამარცხდება, მას დაამარცხებენ თვით მისი შემადგენელი ნაწილები. სოციალიზმის ლოზუნგს, კომუნიზმის იდეას არ შეუძლია შეთანხმოს ძველი მეფის მოხელე და ქალაქის მუშა, კერძო მესაკუთრე გლეხი და კაპიტალისტი. ხოლო ყველა ეს ელემენტები დღეს თანდათან ერთდებიან კომუნიზმის დროშის ქვეშ, თავს იყრიან ერთ ორგანიზაციაში, რაც უმთავრესად ყოფილა წითელ არმიაში. ხშირადან კომუნისტი, სოფლიდან მოსული „კაბილკა“, „გამოგზავნილი ამხანაგი“ სახით ომის მიერ წარმოშობილი წვრილი სპეკულიანტები, ძველი გენერლები, რომელნიც თვით კომუნისტები „ზოლოტოპოგონიკებს“ ეძახიან, ეს ყველა ერთმანეთის იმდენათ მოწინააღმდეგე ძალებია, რომ მათი შეერთება, ერთი დროშის ქვეშ თავის მოყრა და ისიც კომუნიზმის ლოზუნგით, დღეს არც ერთ პარტიას შეუძლია თავის თავზე. არის სხვა მომენტი, არის სხვა მიზეზი, რაც შესაძლებელს ხდის ყველა ამ მოწინააღმდეგე ძალების შეერთებას. და ეს არის ნაციონალური მომენტი, რაც ლიბერალობს წმინდა რუსულ ნაციონალურ მოძრაობის ხასიათს, ხოლო ეს მოძრაობა თანდათან გადადის წმინდა ნაციონალიზმში და წითელ ჯარის ბრძოლას უახლოვდება იმპერიალისტურ მოძრაობას.

აბა დავუკვირდეთ ფაქტებს. ჩვენში ხშირათ შეხვდებით რუს კომუნისტს და დენიკინელს შეთანხმებულს, ერთი და იმავე აზრის მატარებელს. ერთში ისინი თანხმდებიან, ორივეს უნდა რუსეთის გაერთიანება, ორივეს უნდა ახლად განთავისუფლებულ პატარა ერების გაუქმება. რა უფრო, რომ ორივე სხვადასხვა გზით უახლოვდებიან ამ მიზნის მიღწევას, მაგრამ დღეს როცა დენიკინი დამარცხდა და რევოლიუციონერი გზით მოუხერხებელი შეიქმნა „ედინაია, ნედელიმაია“ რუსეთის შექმნა, ამის შესაძლებლობა მიეცათ მათ კომუნისტური გზით. აი ამ იდეის დაწინაურებენ დღეს რუსი მემარჯვე ელემენტები და დღეს ყველანი კომუნისტობენ. წინაკვირებში ქუთაისიდან ცნობა, რომ დენიკინელ ოფიცერთა ჯგუფმა ერთხმივ განუცხადეს კომუნისტებს თანხმობა, რომ ასეთი ელემენტები დღეს მრავლად შედიან წითელ არმიაში.

მაგრამ ჩვენი მსჯელობით ჩვენ ვერავის დავარწმუნებთ, მით უმეტეს ჩვენს ბუნ კომუნისტებს, რომელთაც უფრო ეხიზღებათ საქართველოს დემოკრატიული წყობილება, ვიდრე რუსეთულ მათ ამხანაგებს. ჩვენ ისევ შევეცადოთ ამის დამტკიცება ფაქტებით, ბეჭდური ფაქტებით, რომელიც ვერ უარყოფენ თვით ხიდის აფეთქებელი კომუნისტებიც კი.

ჩემს ხელთ არის მოსკოვის გაზეთების ორი ნომერი. ორივე წარსული წლის დეკემბრის. ერთი მათგანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდა“ № 274, ხოლო მეორე გაზეთი „იზვესტია ცენტრალნავო ისპოლ. კომ.“ 28 დეკემბრის № 293. „პრავდაში“ არის მოთავსებული ლენინის სიტყვა სასოფლო კომუნების და სასოფლო სამეურნეო არტელების წარმომადგენელთა პირველ ყრილობაზე წარმოთქმული, ხოლო „იზვესტიაში“ მოთავსებულია ჩვენი თანამემამულის ჯუღაშვილის—სტალინის წერილი ამ სათაურით: „სამხრეთის ფრონტის სამხედრო მდგომარეობისთვის“.

ჩვენ კომუნისტებს არ აქვთ უფლება უნდობლობა გამოუცხადონ არც ერთს, არც მეორეს. მე ხომ არ ვასახელებ [illegible] ან კონტრ-რევოლიუციონერის [illegible].

და აი, ამ გაზეთებში თვით ლენინი არ ფიქრობს დღეს სოციალისტურ წყობილებაზე, ხოლო ჯუღაშვილი დარწმუნებულია, რომ რუსეთის დღევანდელი მთავრობა ნამდვილი ნაციონალური მთავრობაა. ლენინმა ამ სიტყვაში სთქვა: „კომუნიზმი არის უმაღლესი საფეხური სოციალიზმის განვითარებისა, როცა ხალხი მუშაობს ღრმა შეგნებით აუცილებლად საერთო კეთილდღეობისთვის. ჩვენ ვიცით, რომ ეხლა სოციალისტური წყობილების შემოღება ჩვენ არ შეგვიძლია. ღმერთმა ქნას (Дай Богъ), რომ ჩვენი შვილების დროს, დამყარდეს ის (სოციალიზმი) *)“. აქედან ცხადია, რომ თვით ლენინმა ხელი აიღო დღევანდელ სოციალისტურ ექსპერიმენტებზე, მაშასადამე, ზედმეტია ყვირილი, რომ წითელ ჯარს მოაქვს სოციალიზმის საშოვარი, წითელი ჯარი კომუნიზმს ამყარებს. მარა თუ ჩვენ მოდის წითელი ჯარი და რა ამოძრავებს მას, რომ მიუყვანია ის გამარჯვებამდე, ჩვენ ნათლად გვიხატავს მეორე ცნობილ კომუნისტის წერილში. სტალინი თავის წერილში ახასიათებს დენიკინის დამარცხების მიზეზებს და წითელ ჯარის გამარჯვებისას. ის სწერს:

„დენიკინს და კოლჩაკს მოჰქონდა თან არა მარტო უღელი მემამულისა და კაპიტალისტისა, არამედ—მოჰქონდა აგრეთვე უღელი ინგლის—საფრანგეთის კაპიტალისა. დენიკინ—კოლჩაკის გამარჯვება არის რუსეთის დამოუკიდებლობის დაკარგვა და მისი ინგლის—საფრანგეთის კაპიტალის საწველ ფურათ გადაქცევა. ამ მხრით დენიკინ-კოლჩაკის მთავრობა არის ყველაზე უფრო ანტიხალხოსნური და ანტინაციონალური. ხოლო ამავე მხრით საბჭოთა მთავრობა არის ერთად ერთი ხალხოსნური და ერთად ერთი ნაციონალური მთავრობა ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, ვინაიდან მას მოაქვს არა მარტო განთავისუფლება მშრომელთათვის კაპიტალის უღლისაგან, არამედ მთელი რუსეთის განთავისუფლებასაც საქვეყნო იმპერიალიზმის უღლისაგან. საბჭოთა მთავრობა რუსეთის კოლონიის ნაცვლად ქმნის დამოუკიდებელ, თავისუფალ რუსეთს“.

ხოლო შემდეგ სტალინი ახასიათებს რა დენიკინს და წითელ ჯარს, ამბობს: „ჯარის განმამარჯვებლათ, რომელიც იბრძვის სამოქალაქო ომის დროს ყველაზე უფრო დამოკიდებულია გარემოებაზე და შეგნებაზე იმ ელემენტებისა, რომლითაც იკვებება თვით ეს ჯარი. ხოლო ასეთი გარემოება უნდა იქნეს უთუოდ ნაციონალური, ან კლასობრივი. უმისოდ შეუძლებელია წარმოუდგენელია ხანგრძლივი სამხედრო გამარჯვება“. მერე როგორი მომენტი გამოდგა უფრო ძლიერი, რომ მიიყვანა წითელი ჯარი გამარჯვებამდე? სტალინის დახასიათებით: „სამოქალაქო ომის მსვლელობაში ნათლად გამოირკვა, რომ რუსეთის ცენტრი მოსკოვი და პეტროგრადი თავის ერთფეროვან რუსულ მცხოვრებლებით მეტწილად რევოლიუციონერი სამხედრო მთავრობას ხოლო განაპირა კუთხეები გამოდგა რევოლიუციის და მეტწილად კონტრ-რევოლიუციის. რუსეთის გული—ველიკოროსსიამ გაიმარჯვა თავის ნაციონალური ერთფეროვნებით, ხოლო რაც უ და ყოფილიყო ერთი საერთო ნაციონალური, თათრებსა, ბაშკირებსა, კირგიზებსა, კალმიკებსა, ჩაჩნებსა, ინგუშებსა, უკრაინელებს შორის ერთის მხრით კოლჩაკ-დენიკინის ველიკოდერჟავნიკურ სურვილებთან“ *).

ამ გრძელ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი დროშით ჯარი ლენინმა და სტალინმა ოქტომბერში წამოყენებულ ლოზუნგებს. ლენინი ერთი სოციალიზმს მთელი ასი წლით „ატსროჩკას“ აძლევს, ხოლო მეორე ამტკიცებს, რომ უკანასკნელი გამარჯვება რუსეთის ამ დრონისათვის, ეს არის ნაციონალური მოძრაობა.

წითელი ჯარი თავის თავად საშიში არ არის, მარა ის საშინელ საფრთხეთ გვიახლოვდება, როცა რუსის ხალხი კომუნიზმით მოყავს რუსეთის ნაციონალურ გაერთიანების სახით, ხოლო ამ გაერთიანებას ისინი ძველი რუსეთის ფარგლებში იდგენენ ეძახიან. ამიტომაც ჩვენთვის აშკარა უნდა იყოს, რომ მოდის ის იმპერიული ძალა, რომელსაც დროშაზე სოციალიზმი უწერია, რომელსაც ასი წლით ლენინმა „ატსროჩკა“ მისცა, მარა ნამდვილათ კი, ეს სოციალიზმის მოტყუებული წითელი ძალა, თავის შემადგენლობით ატარებს ყველა თვისებებს რუსეთის იმპერიალიზმისა, რომელიც ბაქოს უკვე მოიცვა და ხვალ ზღვის ჩვენც მოგვადგებიან.

ამხანაგ მკითხველებს ალბათ ხშირათ სმენიათ ჩვენებურ ბოლშევიკებისაგან, რომ საქართველოს მთავრობა ნაციონალურია, რომ ქართველმა ხალხმა გაბედა და თავის ოჯახში მოაწყო დემოკრატიული წყობილება. ნეტავი ეს კომუნისტები ახლა რას უწოდებენ ლენინის მიერ სოციალიზმის შვილის შვილებისთვის დათმობას, ხოლო წითელი ჯარის ნაციონალურ გაერთიანებისთვის ბრძოლას?

ყველა ამ ნათქვამიდან აშკარაა, რომ დღევანდელ რუსულ ნაციონალურ მოძრაობას კომუნიზმის სახით მივიღებთ ყველა, ვისაც კი სურს რუსეთის ძველ ფარგლებში აღდგენა. ამ მხრით დენიკინელთა მიერ ნაბიჯები უკვე გადადგმულია. და შეერთებული კომუნიზმი რუსეთის ნაციონალური მოძრაობის სახით მოადგება საქართველოს, რომლის წინაშე დაჩრდილება თვით 1906—7 წლების რეაქციის დღეებიც კი.

მოდის იმპერიალისტური რუსეთი ველიკოროსიის სულით ირგვლივ გაერთიანებული, ხელთ უპყრია წითელი დროშა, რომელიც მათ წაართვეს ორი წლის წინეთ რუსეთის მუშათა კლასს და დღეს გადაწერილი მოაფრიალებენ მას.

ამხანაგო მუშებო, თქვენ უნდა დაუპირისპიროთ რუსეთის წითელ ნაციონალურ დროშას საერთაშორისო, მუშათა კლასის წითელი დროშა. კავკასიონის ქედთან საქართველოს მუშათა კლასმა თავისი წითელი დროშით უნდა დაამარცხოს რუსეთის მუშათა კლასის სისხლში წითლათ შეღებილი რუსეთის ნაციონალური [illegible] დროშა.

ამხანაგი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. ლენინის სიტყვა „პრავდა“ 1919 წ. დეკემბრის 6-ს № 274.

*) იხ. სტალინის წერილი „იზვესტიაში“ № 293.

მთავრობის და თავდაცვის საბჭოს მოწოდება

(საქართველოს ქალაქებს, ერობებს, თემებს, გვარდიის შტაბებს და მაზრების კომისარიატს.)

ჩრდილოეთის საფრთხე საქართველოს მოადგა.

ბაქოში უბრძოლველად შევიდა ბოლშევიკების ჯარი და იქ საბჭოთა მმართველობა გამოაცხადა.

აზერბეიჯანმა კარი გაუღო მათ, რაც მოწმობს მოსკოვის დაგეგმილ წინასწარ შეთანხმებას. საქართველო, საქართველოს დემოკრატია და მისი ამდენი ხნის შემოქმედებითი მუშაობა განსაცდელშია.

ჩვენს ქვეყანას მოელის ისეთივე განადგურება და სისხლისაგან დაცლა, როგორც განადგურებულია და დაუძლურებული ომებით სისხლისაგან იცლება რუსეთი. ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია. ჩვენს მდგომარეობას ვიხსნით მხოლოდ ჩვენ, ჩვენი ერთსულოვნება და მომხდურთა წინაშე მედგრად დარაზმვა.

მთავრობას მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას ქვეყანა ამ უბედურებისაგან, ააცდინოს მშრომელ ხალხს ეს მწარე ფიალა, იმედია ის დარწმუნებულია და მოგიწოდებს თქვენ და თქვენთან ერთად მთელ დემოკრატიას ფეხზე დააყენოთ მთელი თქვენი ძალა, შემოკრბეთ მთავრობის და დამფუძნებელი კრების გარშემო, დაუყოვნებლივ შეასრულოთ მთავრობის ბრძანებები, დაიცვათ შინაში სასტიკი წესრიგი, შთაბეროთ ერთგულება მხედრობას და გმირობა, სამაგიერო მიუზღოთ ორგულთა და მოღალატეთ და მით გადაარჩინოთ სამშობლო აოხრებისაგან.

მთავრობამ უკვე გამოაცხადა მობილიზაცია, დანიშნა თავდაცვის საბჭო, აირჩია სარდალი, გამოაცხადა საომარი წესები საქართველოში სამხედრო წესები და მიიღო ყველა წინასწარი ზომები.

დღეს, თვითეული მოქალაქე, თვითეული თანამდებობის პირი იდგეს თავის პოსტზე და პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა.

მთავრობის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

1920 წ. 28 აპრილი.

მობილიზაციის გამოცხადება.

(თფილისის ქალაქის გამგეობის განცხადება).

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დასაცავად იმ გარემოებათა გამო, რომელნიც ამ ჟამად შექმნა მის საზღვრებზე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ საჭიროდ დაინახა ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადება.

ამ მიზნით გაწვეულ იქნებიან ჯარში ყველა სათადარიგო ჯარის კაცნი და მოლაშქრენი, დაბადებულნი 1888, 1889, 1894 და 1895 წელში, რომელნიც დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდენ თფილისის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის სამმართველოში (ვეზნელის ქ.) ამა წლის 30 აპრილს 10 ს. ჯამში წ. სასწრაფოდ. ამას გარდა ვალდებულნი არიან გამოცხადდენ იმავე სამმართველოში ნაჩვენებ ვადაზე [illegible] და ექიმები, [illegible] 35 წლამდე.

სხვადასხვა დაწესებულებები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გაუწიონ ანგარიში გასაწვევ მოსამსახურეთ, რომელთაც (შტატში, შტატ-გარეშე) ჯარში [illegible].

ქალაქის გამგეობა.

ბაქო

ბაქოდან მიღებულია შემდეგი ცნობები:

27 აპრილს დილის 4 საათზე აზერბეიჯანის მთავრობამ ტელეფონით შეატყობინა თფილისს, რომ საბჭოთა ჯარებმა გადმოლახეს აზერბეიჯანის საზღვრები და წინ მოიწევენ. აზერბეიჯანის მთავრობა სთხოვდა დახმარებას საქართველოს მთავრობას. ამავე დღეს დილით 10 საათზე ხან ხოილი იუწყებოდა, რომ ბოლშევიკები წინ მოიწევენ და კვლავ ითხოვა დახმარება.

პირველ საათზე თფილისში მიიღეს ცნობა, რომ ბოლშევიკებმა აიღეს ხაჩმასი, ამასთანავე ხან ხოილი იტყობინებოდა, თითქოს აზერბეიჯანის ჯარი წინააღმდეგობას უწევდეს საბჭოთა ჯარებს. ამასთანავე, მისივე ცნობით საბჭოთა ჯარების რიცხვი არ აღემატებოდა 5 ათას კაცს.

შემდეგ, როგორც გამოირკვა, ბაქოში მყოფ საქართველოს მისიის ცნობებიდან, საბჭოთა ჯარებისათვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. საბჭოთა ჯარებს წინ მოუძღოდა ჯავშნიანი მატარებელი და ხიდები არამც თუ აფეთქებული იყო, არამედ—არც კი მიიღეს სათანადო ზომები, დაიცვათ და [illegible], რითაც რამდენიმე დღით მაინც ბოლშევიკურ ჯარების წინსვლას შეაჩერებდა. საღამოს 10 საათზე ბოლშევიკები იყვნენ სადგურ [illegible]. ღამის 3 საათზე კი მიუახლოვდნენ ბალაჯარს.

ღამის 2 საათზე თფილისში მიღებული ცნობით, ბაქოში უკვე გამოცხადებულია საბჭოთა მთავრობა.

ძველი მთავრობის მთელი შემადგენლობა ბაქოში დარჩა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

28 აპრილი.

ლიონის რადიო-სადგურიდან.

(ინგლისურ ენაზე)

გერმანიაში.

კობლენციდან იუწყებიან, რომ გერმანიის მშიერ და ავადმყოფ ბავშვებს იმ ადგილებში, რომელიც ამერიკელებს უჭირავთ, აძლევენ 1 მილიონ ამერიკის [illegible], ეს მილიონი დარიგებულია რეინის კომისიის ამერიკის კომისარის მიერ. ქალაქის საბჭო 100,000 მარკას უძღვნის ამ სამზარეულოს მოსამსახურეთ, რათა 8000 ბავშვისთვის ყოველ დღე დამზადდეს ცხელი საჭმელი. ამ სამზარეულოს განაგებს ადგილობრივი გერმანელი ქალი [illegible]. ასეთივე სისტემა შემოიღეს პატარა ქალაქებში.

ავსტრიაში.

ვენიდან იუწყებიან: კონსტიტუციისათვის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა. სოციალ-დემოკრატები ქრისტიან-სოციალისტების აზრს არ ეთანხმებიან.

გაფიცვის მოლოდინში

(დასაწყისი არ მიგვიღია) რკინის გზებზე მუშათა შორის შეიქმნება სურვილი, რადგან რკინის გზების მუშათა დღეს მონოპოლიზაციებში მონაწილეობის მიღება უნდათ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ საჭირო ზომები მიიღო წესრიგის დასაცავად. შინაგან საქმეთა სამინისტრო დიდ მნიშვნელობას აძლევს რკინის გზელთა გაფიცვის საკითხს და იმედი აქვს, რომ ეს არ მოხდება. პარიზი თანდათან იღონებს [illegible], რომელსაც 1 მაისის წინა დღის შრომის ფედერაციამ მიმართა ნებართვისთვის, რომ „თანხმობის“ მოედანზე დემონსტრაცია გაემართათ. ამაზე მათ უარი უთხრეს, რამაც მეორე დღეს შეტაკება გამოიწვია. იმედი აქვთ, რომ მილიერანი არ მისცემს საშუალებას რევოლიუციონერებს, რომ მათ მდგომარეობით ისარგებლონ და ბრძანებას გასცემს რესპუბლიკის თავდაცვის პოლიციის მიმართ, რომ არეულობა არ მოხდეს. გადაწყვეტილია, რომ 1 მაისს პარიზში მთელი ცხოვრება შეჩერდება.

ინგლისური ცნობები

(ბასრიდან).

ინგლისი და სპარსეთი.

„ტაიმს“-ი სწერს: ტომას ჰინსკოფი, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც სპარსეთიდან დაბრუნდა, სპარსეთის მდგომარეობას ფერადი საღებავებით აღწერს. ინგლისის პრესტიჟი და გავლენა არასდროს არ ყოფილა ასე ძლიერი მთელ მხარეში, როგორც ეხლა. იმ დამტკიცებათა წყალობით, რომელიც სპარსეთის მთავრობასა და ხალხს მისცეს ბანზე, რომ სპარსეთში ინგლისის ინტერესები დამოუკიდებელი მთავრობის მხარის დაჭერისა და ამ მხარის ნეიტრალური სიმდიდრის განვითარებას შეიცავს.

ბამბის მრეწველობისათვის.

ქალაქ შრომის ერთიანელ კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 180 შრომის დარგი.

საქალაქო სამრეწველო კონფერენციის თავმჯდომარე სერ ჰერბერტ დიკსონმა სთქვა: ბამბის საწარმო დიდ საშიშროებას წარმოადგენს ბამბის მრეწველობისათვის და ეჭვს გარეშეა, რომ მოკლე ხანის შემდეგ ბამბის უქონლობას იგრძნობს თვით მხარე თავის საჭიროების დასაკმაყოფილებლად თუ ეხლავე ფართო საზომი ზომები არ იქნა მიღებული. ლანკაშირი უნდა ელოდეს ამერიკის მუქარის წინაღმდეგ, რომელსაც მთელ ბამბის სამრეწველოების ხელში ჩაგდება სურს.

რუსეთის ამბები.

20 აპრილის სამხედრო ცნობის ახლო. დასავლეთ რუსეთში პოლონეთის ფრონტზე ბოლშევიკების შეტევა უნაყოფოდ მიდის. სამხრეთით, ყირიმის ფრონტზე მკაცრი ბრძოლაა. პერეკოპზე მოგერიებულია წითლების შეტევა. პერეკოპის აღმოსავლეთით თეთრებმა სივაში აიღეს და გენიჩესკში ჯარი გადმოსხეს, მაგრამ იძულებული შეიქმნენ ისევ უკან დაიხიონ. ვლადივოსტოკში სიწყნარეა. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა ქალ.

ჩიტასთან (ირკუტსკიდან 350 ვერსზე)... (გამოტოვებულია) ბანდიტები ისევ ვერხნე უდინსკში არიან.

ოსმალეთში.

ოსმალეთში ანტი ეროვნული მოძრაობა იზრდება ერთი მხრით მთავრობის დეკლარაციისა და მეორეს მხრით შეიხულ-ისლამის ამ მოძრაობისადმი მხარის დაჭერის გამო.

ბოლშევიკების თემაზე.

(ფრანგულ ენაზე.)

ნოვიკ მხაგსი.

ვარშავაში. 19 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, პოლონეთის პარლამენტის კიბეზე ჩამოვარდა ჩამოვარდნილმა ყუმბარამ, რომელმაც მოჰკლა 10 კაცი და დასჭრა 14. მოკლულთა შორის არის ერთი ქალი და ორი ბავში. გამცნობს რა ამ საზიზღარი ფაქტის შესახებ, უკრაინის მუშათა და გლეხთა მთავრობა გამოსთქვამს თავის ღრმას აღშფოთებას პოლონეთის სარდლობის მიმართ, რომელიც არ კმაყოფილდება ძარცვა-გლეჯით და თავის ჯარებში პოლონეთის ჯარების მიერ დატყვევებულ ვოლინისა და პოდოლიის გუბერნიის (დამახინჯებულია) მშვიდობიან მუშათა და ხიზნის მცხოვრებთა მობილიზაციით, და იმგვარსავე ზომებს ღებულობს ჩვენი თავისუფალ ტერიტორიის მშვიდობიან მცხოვრებთა მიმართ იმ დროს, როდესაც პოლონეთის მთავრობა (სიტყვა დამახინჯებულია) ლენინის თავის სურვილში პოლონეთისა და უკრაინის ხალხთა შორის მშვიდობიანი დამოკიდებულების მ სახეზ, ზემო მოყვანილი ფაქტები მოგვარ მოგონებს შეუძლიათ მხოლოდ გაძლიერონ ეჭვიანობა იმ სურვილების მიმართ, რომელსაც პოლონეთის მთავრობა გამოსთქვამს,—და უკრაინის ხალხში წინასწარ ისეთ შთაბეჭდილებას შექმნის, რომ პოლონეთის მთავრობის მიერ გამოთქმულ მისწრაფებაში, რომ იგი პატივსცემს უკრაინის ხალხის სურვილებს, დამალულია შეტევითი და დაპყრობითი მიზნები... (შემდეგ დამახინჯებულია და დასაწყისი არ არის მიღებული)...

მოლაპარაკება ჩეხო სლოვაკიასთან.

(დასაწყისი არ მიღებულია) გაქვეყნთ რა თქვენ ყურადღებას ამ ფაქტებს, რუსეთისა და უკრაინის მუშათა და გლეხთა მთავრობა გამოსთქვამს იმედს, რომ ჩეხო-სლოვაკეთა მთავრობა მიიღებს სასწრაფო ზომებს, რათა მისი ორგანოების ყურადღება მომავალში უდრიდეს ჩეხო სლოვაკეთა მთავრობის მიერ გამოთქმულ სურვილს—უთუოდ რუსეთის სახელმწიფოს ხალხთან მეგობრულად ცხოვრების შესახებ. მუშათა და გლეხთა მთავრობა ფიქრობს, რომ ამ კეთილი სურვილების საკმარისი დამამტკიცებელი იქნება ბრძანება ამ გვარად შეკრებილ ჯარის გაშვების შესახებ და ნებართვა, რომელიც უნდა მისცენ თავის სამშობლოდან დაშორებულ უკრაინელთ, რომ ისინი თავის ოჯახებს დაუბრუნდენ. საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი.

ვის უნდა ვირჩევდეთ?

(ზ. დათიაშვილის წერილის გამო).

ჩვენი გაზეთის 23 აპრილის ნომერში მოთავსებულია ამხ. ზ. დათიაშვილის წერილი შემდეგი სათაურით: „ვის უნდა ვირჩევდეთ?“ წერილში ის აზრია გატარებული, რომ არც ერთ ხელმძღვანელ ორგანიზაციებში და მით უმეტეს პარტიულ ყრილობაზე არ უნდა ვირჩევდეთ ამხანაგებს, რომლებსაც პარტიული სტაჟი არ გაუვლიათ და სხვ. ამ აზრის დასამტკიცებლად ავტორი შემდეგს სწერს: „ჰკითხე, ამხანაგო, ვინც გერმანიაში ყოფილა და ის გაგიზიარებთ თავის შთაბეჭდილებას: როცა პირველად შეხვდა იქ პარტიულ კრებაზე, გეგონება მოხუცთა შეთანხმება წავიწყდეო“. და ეს აზრი-წერილი ნათლად ამტკიცებს იმას რომ ამხ. ზ. დათიაშვილი ურჩევს პარტიულ ორგანიზაციებს მოხუცთა ორიენტაციაზე დადგომას. მე გადაჭრით უნდა აღვნიშნო, რომ თვით ფაქტი ასეთი „ორიენტაციის“ ჩასახვისა, ძლიერ არევ-დარევას გამოიწვევს პარტიაში და დიდ ცნების და ზიანს მიაყენებს მის ინტერესებს. ერთობ ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რომელი წლოვანობა უნდა ჩაითვალოს საკმარისად, რომ პარტიის წევრს უფლება მიეცეს არჩეულ იქნეს ადგილობრივ ორგანიზაციის წარმომადგენლად კოლექტივში, კომიტეტში, ან, თუ გნებავთ, კონფერენციაზე? ამის გამორკვევა პრაქტიკულად დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ანუ რომ არ იყოს, ასეთი ტენდენცია, როგორც ვთქვი, ძლიერ შეაფერხებს პარტიულს მუშაობას და კარგს არაფერს უქადის პარტიის მომავალსაც, ჩვენ ძალიან გვიკვირს, თვითონ საკითხის ასე დაყენება: ახალგაზრდა—თუ მოხუცი? ჩვენ გვგონია, რომ საკითხი ასე კი არ უნდა დაისვას, როგორც ამას აყენებს ამხ დათიაშვილი, არამედ ასე: კარგი მარქსისტი, კარგი მომზადებული სოც.-დემოკრატი, თუ ცუდი მარქსისტი, ცუდათ მომზადებული ამხანაგი? თუ ასე დავაყენებთ საკითხს, მაშინ მე დარწმუნებული ვარ, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა არ ჩამოუვარდება ზოგიერთ ძველ პარტიულ მოღვაწეს, თუნდაც მას 20 წლის პარტიული სტაჟიც ჰქონდეს განვლილი. მართალია, ბევრია მოუმზადებელი ახალგაზრდებში, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენდა სასიხარულოთ უნდა ვაღიაროთ, რომ ახალგაზრდებშიაც საკმაოთ მოიპოვებიან ისეთები, რომლებსაც საფუძვლიანად შესწავლილი აქვთ მარქსიზმი, გაცნობილნი არიან პარტიის ისტორიას, უმუშავნიათ სხვადასხვა რევოლიუციონერ ორგანიზაციებში ამ უკანასკნელი ხამი-ოთხი წლის განმავლობაში მაინც და საერთოდ პოლიტიკურის მომზადებით ზოგიერთ მოხუცებს არ ჩამოუვარდებიან. რა ვუყოთ, რომ ისინი უფრო ადრე არ დაიბადნენ და საშუალება არ ჰქონდათ მოხუც ამხანაგებთან ერთად ებრძოლათ ძველი რეჟიმის წინააღმდეგ? განა ეს მათ დანაშაულათ უნდა ჩაეთვალოთ? მე მგონია, არა. მარქსიზმის ფილოსოფიური და სოციოლოგიური მოძღვრების ძირითადი დებულება ამბობს: „მდგომარეობა ქმნის შეგნებას“. ეს არ უნდა დაივიწყოს არც ძველმა და არც ახალმა მარქსისტმა. და მართლაც, თუ ჩვენ გასაქანი არ მივეცით ახალგაზრდა ნიჭს, თუ მათ ყოველგვარი სარბიელი მოუსპეთ, თუ ახალგაზრდები თავიდანვე არ შეეჩვევიან მუშაობას, თუ ძველ თაობას ახალი არ შეენაცვლა, მაშინ ჩვენი პარტიის მომავალს ჯვარი უნდა დაესვას. თუ ჩვენ ამხ. დათიაშვილის ლოღიკას გავყვებით და მაზრებს ჩამოვაშორებთ ახალგაზრდა ძალებს, მაშინ ზოგიერთ მაზრებში ჩვენი ორგანიზაცია სრულებით დაინგრევა და ეს დღევანდელ მომენტში უდიდესი დანაშაული იქნება, როგორც ხალხის, ისე ისტორიის წინაშე.

შეიძლება ამხ. დათიაშვილს მიზნათ ჰქონდა ხაზი გაესვა აზრთა სხვადასხვაობისათვის, რომელიც ხშირად იჩენს თავს ყოველგვარ სიცოცხლის ნიშან წყლის მქონე პარტიაში, მაგრამ განა არ შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა, როგორც მოხუცებში, ისე ახალგაზრდებშიაც იყოს? ეს აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც ჩემის აზრით მასაზრდოებელია ყოველგვარი პარტიისა და ფრაქციისადაც მარტო ჩაკეტვები, რათ არ უნდა იქნას გამოტანილი კონფერენციაზე? იქნება ამხ. ზ. დათიაშვილს ჰგონია, რომ ადგილობრივი ორგანიზაცია იმდენათ აბუჩათ მოეკიდება ამ პარტიულ საქმეს, რომ უკეთესად მომზადებულ ამხანაგებს არ აირჩევს თავის წარმომადგენლად კონფერენციაზე და სუსტებს გამოგზავნის? დავარწმუნებთ ამხანაგს, რომ ეს ასე არ მოხდება და არც ხდება. ტყუილად იხსენიებს ცუდად ამხ. დათიაშვილი იმ ახალგაზრდებს, რომლებიც შარშან ჩვენს კონფერენციაზე იყვნენ. მან უნდა იცოდეს, რომ არც ერთი მათგანი არ ყოფილა საფუძვლიანად მოუმზადებელი და პარტიულად არასაიმედო, პირიქით, ზოგიერთი იმ ახალგაზრდათაგანი დამფუძნებელი კრების წევრათაც კი იქნენ არჩეულნი.

მე ვეთანხმები ამხ. დათიაშვილს იმაში, რომ შემთხვევითი ელემენტები არ უნდა იქნენ არჩეულნი არც ერთ პარტიულ დაწესებულებაში. რომ ყოველგვარ არჩევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს პარტიულ დამსახურებას მაგრამ პარტიულმა კრიტერიუმმა არ უნდა გადაფაროს პიროვნების მომზადება და ეს არ უნდა გადაიქცეს ახალგაზრდათა განვითარების დამაბრკოლებელ და შემაფერხებელ მიზეზათ.

ანხანი.

ბოლშევიკების მუშაობა პროფ. კავშირებში

ფედერალისტთა პარტიის „ლიდერი“ ლონტი წერილს წერილზე აცხობს, და ცდილობს დაამტკიცოს, რომ ზოგიერთი კავშირის მუშები უდანაშაულოთ სხედან ციხეში, რომ მუშათა კრებებს საგანგებო რაზმის აგენტები ესწრებიან და სხვ. ამ საკითხის შესახებ სოც. ფედერალისტთა ფრაქციამ დამფუძნებელ კრებაში შეკითხვაც კი შეიტანა, და ეს გარემოება გვაიძულებს ზოგიერთი ფაქტები გამოვაქვეყნოთ. ამ ფაქტებიდან მკითხველი თვითონ დაასკვნის—ყოფილა თუ არა ზოგიერთ კავშირებში საგანგებო რაზმის აგენტების მისვლა საჭირო?

1) მეტყევეთა პროფესიონალური კავშირი თავიდანვე ბოლშევიკების შტაბ-კვარტირა იყო. იქ იყო მდივნათ ვინმე აკოპოვი, რომელიც ერთ და იმავე დროს კავშირის მდივნათაც იყო და ბოლშევიკების კომიტეტის წევრათაც ითვლებოდა. ეს აკოპოვი საგანგებო რაზმმა დაიჭირა და გადაასახლა. მას აღმოაჩნდა დოკუმენტები, რომლებიდანაც გამოირკვა, რომ დიდი თანხა ჰქონია ბოლშევიკებისაგან მიღებული და ამ თანხით ემსახურებოდა ბოლშევიკურ საქმეებს და არა პროფესიონალურს. ეს კავშირი მოლომდე დარჩა ასეთი ბოლშევიკური ხასიათისა. მიუხედავათ მდივნების სისტემატიური დაჭერისა, მათ სისტემატიურათ მიჰყვებოდათ კომუნისტი მდივანი, როგორიც იყვნენ აკოპოვი, მოვშოვიჩი და სხვ. დამახასიათებელია ერთი გარემოება. როდესაც კავშირის გამგეობას ფული შემოაკლდა, კავშირის ფული 50 ათასი მან. კომუნისტური პარტიისათვის დახარჯა.

2) „ნემსის პროლეტართა პროფ.-კავ.“ იყო ბოლშევიკების პარტიული ორგანიზაცია, მხოლოდ შირმა ჰქონდა პროფესიონალური. იქ იყო ცნობილი ბოლშევიკი შუკატოვიჩი, აბოვიანი, ბაქრაძე და სხ. ამ კავშირმა ბოლშევიკური გაზეთების დახურვის შემდეგ გამოსცა „Рабочій путь“ კავშირის სახელით, ხოლო ეს გაზეთი, როგორც მკითხველს ეხსომება, წმინდა კომუნისტური იყო. ამ გაზეთის პირველი ნომრისათვის „ნემსის“ პროლეტართა კავშირმა მიიღო 10,000 მან. ბოლშევიკური კომიტეტისაგან, ეს ფული გატარებულია კავშირის წიგნებში უცნობი პირების შემოწირულების სახით. როდესაც კავშირის ერთმა ნაწილმა მოსთხოვა მეორე ნაწილს დაესახელებინა ვინ არის ეს შემომწირველი პირი, უპასუხეს: არ ვიცითო.

3) ფარმაცევტთა კავშირი თავიდანვე ფედერალისტური იყო, მაგრამ ბოლშევიკებმა ისე მოაწყვეს საქმე, რომ ეს კავშირი თავიანთი ორგანიზაციის შირმათ გადააქციეს. მთავრობამ შეამჩნია ეს და ამიტომ დაპატიმრებულ იქმნენ ცნობილი კომუნისტები: გ. ნუცუბიძე, კახნოვერი, ჯულელი და ერთი ებრაელი, რომლებიც აქ თავს იფარავდნენ პროფესიონალურ კავშირში საგანგებო რაზმის დევნისაგან და ეწეოდნენ მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობას. ეს ნუცუბიძე და ებრაელი აშკარად ეუბნებოდენ მუშებს: საქართველოს მთავრობა არ ვარგა, ის უნდა ჩამოვაგდოთო. ეს ყველაფერი იცოდა ფედერალისტებმა ლონტმა, მერაბმა, ბაქრაძემ, მაგრამ როგორ გგონიათ: ისინი ამ მუშაობაში მათ ხელს უშლიდნენ? პირიქით, ხელს უწყობდნენ. როცა ეს კომუნისტები დაიჭირეს კომუნისტობისათვის, ფედერალისტები—ყოველთვის მოითხოვდენ მათ განთავისუფლებას და დღესაც დარბიან და დაჟინებით კომუნისტების განთავისუფლებას ითხოვენ.

4) ლითონზე მომუშავეთა კავშირში გამგეობამ არსენალში დანიშნა კომუნისტი პოპოვი, რომელიც იყო კომუნისტური კომიტეტის კანდიდატი. პოპოვი ერთ და იმავე დროს ფულებს იღებდა, როგორც ბოლშევიკური კომიტეტიდან, ისე არსენალიდან. პოპოვი არსენალში ნიადაგს ამზადებდა ბოლშევიკებისათვის. ის მოწყობით ხელში დაიჭირეს.

ბოლშევიკმა მეტალისტებმა მოინდომეს გრანდიოზული დემონსტრაციის მოწყობა. მათ ეს აშკარად ვერ გაბედეს და მოაწყვეს ხელის მოწერა ქაღალდზე, რომელსაც ეწერა: въ пользу арестованныхъ комунистовъ. ფული შეაგროვეს და ბოლშევიკების კასაში გადაგზავნეს.

გვგონია, რომ ეს ფაქტები აშკარად ლაპარაკობენ იმის შესახებ თუ რა დიდ მუშაობას ეწეოდნენ კომუნისტები ზოგიერთ პროფესიონალურ კავშირებში. იქ არ იყო პროფესიონალური ბრძოლა, არამედ—იქ ადგილი ჰქონდა წმინდა პოლიტიკურ ბრძოლას. და ყველა ამის შემდეგ რა უფლების ძალით ლაპარაკობენ ლონტები, რომ მთავრობას არ უნდა დაეჭირა ჩვენი რესპუბლიკის დამრღვევი ხალხიო? გვაქვს თუ არა უფლება ვიკითხოთ: ვისთან გვაქვს საქმე ფედერალისტების და ლონტის სახით?..

ო. ა.

ახალი ამბები

სამხედრო ცენზურა. თავდაცვითი საბჭოს დადგენილებით დაარსდა სამხედრო ცენზურა.

◆ **არამიანცის სახლი.** აპრილს 27 ს მთავრობამ დაადგინა შეიძინოს რუსთაველის ქუჩაზე არამიანცის სახლი მუშათა სახლისათვის.

◆ **იარაღის აღმოჩენა.** მე 4 უბნის კომისარს მ. ჩიკვაიძეს შეატყობინეს, რომ ერთ ერთ სახლში სურბ ნიშანის შესახვევში დამალულია დიდძალი იარაღი და სამხედრო მასალა. 27 აპრილს მილიციონერებმა ალყა შემოარტყეს № 2 სახლს აღნიშნულ შესახვევში, გაჩხრიკეს აღნიშნულ სახლში სარდაფი, სადაც აღმოჩენილ იქნა 90 „ვინტოვკა“ კავალერიის ნიმუშისა; იარაღი კარგათაა შენახული და თან ახლავს ყოველგვარი საჭირო მასალები. სარდაფი ეკუთვნის არტიშეს თუმანოვს, რომელიც იქვე ცხოვრობს. ამ საქმეზე ჯერ-ჯერობით დაპატიმრებულია 4 კაცი. სწარმოებს გამოძიება.

◆ **ჩაიკანი.** ფრიად სარწმუნო წყაროებიდან ჩვენ გვატყობინებენ, რომ გ. ჩაიკინი არ ითვლება შავი ზღვის გუბერნიის განმათავისუფლებელ კომიტეტის წევრათ და არც სოხუმის ოლქში არის ამ კომიტეტის წარმომადგენელი.

◆ ვინაიდან სამანუფაქტურო საწყობი დიდათ შევიწროვებულია მანუფაქტურის გაცემით წინათ გაცემულ ორდერებით,—მუშათა მაგიდამ შესწყვიტა ახალ ორდერების გაცემა მიმდინარე წლის 7 მაისამდე. ორდერები მიეცემათ მხოლოდ პროვინციიდან ჩამოსულებს, რიგ გარეშე.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, ხუთშაბათს 29 აპრილს, წაიკითხავენ ლექციებს:

პირველ განყოფილებაში მესხი—სამშობლოს აღწერა.

მესამე განყოფილებაში: 1) ლომოური—სამეურნეო ეკონომია; 2) ზარნოვი—ქართული მწერლობა.

ცენტრში 1) ვ. ალშიბაია—საქართველოს სიმდიდრენი; 2) იგ. ტყეშელაშვილი—არაორგანიული ქიმია; 3) კოტეტიშვილი—სოციოლოგია.

ლექციების დასაწყისი ჩუღურეთში საღამოს 7 საათზე, სხვაგან 6 საათზე:

◆ **ამხ. ნოე რამიშვილის მოხსენება.** დღეს, საღ. ზუსტ 6 საათ. ვერის მუშათა კლუბში დანიშნულია მეოთხე რაიონის პარტიულ წევრთა საერთო კრება. კრებაზე გადაეცდება პარტიული ყრილობის დღის წესრიგის განხილვა. მომხსენებლად მოწვეულია ამხ. ნ. რამიშვილი.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 7 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტში დანიშნულია სოციალ-დემოკრატ სტუდენტთა საერთო კრება. განხილულ იქნება მიმდინარე მომენტის შესახებ. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

◆ **კულტურული მუშაობა ჯარში.** 24 აპრილს, საავტომობილო გუნდში ჯარის კაცთა მიერ გამართულ იქნა სალიტერატურო საღამო. საღამოში მონაწილეობას იღებდენ რამოდენიმე თვის წინათ წერა კითხვის სრულიად უცოდინარი ჯარისკაცები. წარმოდგენილ იქნა „[illegible]“ დრამა 1 მოქმედებად ილორელისა და „ფარნაოზის მესამე ცოლი“ კომედია ერთ მოქმედებათ. ჯარის კაცთა ხორომ იმღერა სხვა და სხვა ნაციონალური სიმღერები. საღამოს დაესწრო სამხ. სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელი სექციის მთავარი ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი ართმელაძე, რომელმაც მოკლე სიტყვით მიმართა ჯარის კაცთ.

კრებები.

დღეს, საღამოს 6 საათზე, ბიჭურის მინაზე შესდგება საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე რაიონული კოლექტივის, ამავე რაიონის მეორე-კოლექტივების და ქალთა ორგანიზაციის შეერთებული კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათ. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მე 3 რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი კრება. კახეთის მოედანი, № 1.

ძველ მოწინავე მუშათა ყრილობის მიერ არჩეულ კომ. კრება

კვირას, 25 აპრილს, შესდგა შეერთებული სხდომა ძველ მოწინავე მუშათა პირველ ყრილობის მიერ არჩეულ კომისიისა და პირველი რაიონის ძველ მუშათა წარმომადგენლებისა. ამ უკანასკნელთაგან წამოყენებული იყო რამოდენიმე დებულება, რომელ ზედაც გაიხსნა მსჯელობა და მცირე გამონაკლისით იქნა მიღებული. არჩეულ იქნა სამანდატო კომისია ხუთი ამხანაგისაგან, რომელსაც დაევალა ძველი სიის გადასინჯვა და შევსება იმათგან, რომლებიც არ მოჰყვნენ წინად შედგენილი სიაში. სამანდატო კომისიას დაევალა დაჩქარებით მოგვარება ამ საქმისა. კომისიაში არჩეულ იქმნენ: გ. ნინუა, ლ. მამალაძე, ვ. ხარფუხელი, დ. ხარიტიშვილი და გ. ჩიქოვანი.

ამგვარად, მომდევნო ყრილობა იქნება უფრო სრული და მნიშვნელოვანი. უნდა გადაღებული იქნეს მოლიანად საერთო სურათი და ეკრანზედაც კინემატოგრაფისათვის.

მდივანი.

ნიღაბახდილობა

25 აპრილს შესდგა აფთიაქებში მომუშავეთა კავშირის ყრილობა, რომელსაც დაესწრო 55 კაცი.

დღის წესრიგში უნდა ყოფილიყო, როგორც ამას ატყობინებდა ბარათებით კავშირთა სეკრეტარიატს და შრომის სამინისტროს, მუშათა ეკონომიური მდგომარეობა.

ხსენება შორის, ამ კავშირმა 4 აპრილს პროტესტი გამოაცხადა და კრების დარბაზი დასტოვა.

ამაზე თვით ლონტი მოუთითებდა თავის წერილში „სახალხო საქმეში“ მკითხველებს და მათ „იმედებით“ იქიდგან წასვლას სეკრეტარიატის ცილდებით აღიარებდა, მხოლოდ ის უთითებდა არა ამ ხუთ კაცზე, რომლებმაც დასტოვეს კრება, არამედ—სწერდა, რომ კრების დიდი უმრავლესობა იძულებული იყო პროტესტით მოსცილებოდა სახიფათო ალაგს.

როგორც ხსენებულმა კავშირმა, ისე თვით ლონტმაც გამოსთქვეს თავისი აზრი, პირველმა წერილით სეკრეტარიატისადმი, მეორემ კი როგორც 4 აპრილის ყრილობაზე, ისე გაზეთებში.

სეკრეტარიატს, რასაკვირველია, საწინააღმდეგო არასოდეს არაფერი ჰქონია და არც აქვს კითხვების გაშუქებისა, და ამისთვის გაგზავნა თავისი წარმომადგენელი აღნიშნულ ყრილობაზე. შრომის სამინისტროდან ყრილობას დაესწრო შრომის მინისტრის ამხანაგი ბახტაძე.

მას შემდეგ, რაც ბატონმა ლონტმა გაზეთებით გვამცნო, რომ მას სურს საკითხის „გაშუქება“, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ის ამ საკითხს მართლაც გააშუქებდა და ნათლათ დაანახვებდა „ყვითელ სეკრეტარიატს“, რომ ის შემცდარ გზას ადგია და საჭიროა საკითხის გადასინჯვა.

ვიმეორებთ, ჩვენ ასე გვეგონა, მაგრამ საუბედუროთ იმისა, რომ თხუთმეტამდე ორატორმა ილაპარაკა, გარდა ერთი ორისა, და ისიც გაკვრით, არსებითად საკითხს არავინ შეხებია.

შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს აქ არა ეკონომიური ორგანიზაციას ჰქონდა თავი მოყრილი ეკონომიური კითხვების გასარჩევათ, არამედ პოლიტიკური მიტინგი.

რაზე გინდათ, რომ არ ილაპარაკეს: აქ იყო გადაშლილი სურათი იმისა, თუ მთავრობა და მისი პოლიტიკა როგორი უვარგისია, თუ რა საშუალებაა საჭირო, რომ მუშების და გლეხების მოთხოვნილება დაკმაყოფილებული ქმნას და სხვა ამისთანები.

მაგრამ იცით რა საშუალება ყოფილა საჭირო? ერთად ერთი: უნდა შეიცვალოს დღევანდელი წესწყობილება და მის მაგივრად ბოლშევიკური წესწყობილება დამყარდეს. ამ საკითხს თვით ლონტის მოსულამდის კავშირის წევრები „აშუქებდენ“.

თვით ლონტი ცოტა დაგვიანებით მობრძანდა, მაგრამ თავისი წვლილი კითხვის „გაშუქებაში“ მანაც შეიტანა. მან არ დაუტოვებია ფინლიანდია, პოლონეთი, გერმანია, ინგლისი, რუსეთი, აზერბეიჯანი, სომხეთი, წარმოიდგინეთ ოკეანეს იქით ავსტრალიასაც სწვდა, მოგვიყვანა ავტორიტეტები: ბაუერი, კაუცკი, როლანდი, ვანდერველდე და ამგვარ ავტორიტეტებს, თუ როგორ მუხანათობენ მენშევიკები მუშებს და გლეხებს.

აღსანიშნავია, რომ თვით ლონტი დიდი გულახდილად ლაპარაკობდა, რაც, მე მგონია, ერთიორად დიდებით მხარეს შეადგენს მის იმ დღის სიტყვისას.

როდესაც აუდიტორიამ რეპლიკებით შეახსენა ბატონს თვით ლონტს სოციალისტ-ფედერალისტების სტამბაში ბოლშევიკური პროკლამაციების ბეჭდვის შესახებ, მან გულახდილად უპასუხა: „დიახ, ვბეჭდავდით და ფულებს ვღებულობდით კიდეცო“. მან საჯაროთ განაცხადა, რომ დღევანდელი კავშირის მოთხოვნა ჯამაგირების მომატებისა, ეს დიდი სოციალური მოვლენაა, როგორც ამ კავშირისათვის, ისე საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხებისათვის. მან განაცხადა, რომ ამ მოთხოვნას აქვს არა ისე მნიშვნელობა, რომ დღეს გააუმჯობესებს მუშების ეკონომიურ მდგომარეობას, არამედ—ეს მოთხოვნილებები ხელს შეუშლის ჩვენი მთავრობის შემოქმედებას და მას ძირს დასცემს. მხოლოდ მას მაგივრათ მოევლინება ხალხს ახალი მთავრობა, რომელიც გამოიყვანს მუშებს და გლეხებს ამ აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობიდან.

დღეს ჩვენ არ გვინდა თვით ლონტის ბუნებაში სინათლის სხივები ვეძიოთ. არ გვინდა მის დაბნეულ აზროვნებას დალაგება დავუწყოთ. ჩვენ გვაინტერესებს გავიგოთ ერთი რამ: პარტია, რომელსაც თვით ლონტი ეკუთვნის, იზიარებს მის აზრს თუ არა? პასუხის მგებელია ის იმ სიტყვებისა, რომელიც მან აუდიტორიას გადაუსროლა იმ დღეს თუ არა?

ჩვენ გვაინტერესებს არა დემაგოგიური მოწოდებანი! ეს ჩვენ ხშირათ გვესმის ჩვენი დაბნეული ბოლშევიკ-ლენინელებისაგან. ჩვენ გვინდა გავიგოთ: ვინ გვყავს ფედერალისტების სახით—მტრები თუ მოყვრები? პარტია, რომელიც სახელმწიფოს შენობას ემატინება, ვისთან არის ის დღეს: კავკასიის ქედიდან მომდგარ სატანის წითელ იმპერიალისტურ ძალებთან, თუ ხალხის მიერ არჩეულ დემოკრატიულ მთავრობასთან? როგორი გრუპირებით დღეს თქვენ? რა სახელი გეწოდოთ?

თუ თქვენ, ბატონო ფედერალისტებო, საჯაროთ არ უარყოფთ თვით ლონტთან აზროვნებას, ჩვენ გვეცოდინება მაშინ, თუ რა საფრთხეს უმზადებთ თქვენ დემოკრატიის ნიღაბ დაფარული სახით.

საქართველოს მუშათა კლასმა, მეცნიერულ სოციალიზმის გზით მიმავალმა აიარა ბევრი ცილის და ხარიხების, თუმცადა დღესაც მის გულს შუაგულში ზოგიერთები ჩაყლაპვას ემუქრებიან, მაგრამ ის არ შიშობს, რადგანაც მას ჰყავს მოცდილი ხელოსნები და თითონაც მაგარი მუშური ხელით საჭეს უზის.

საქართველოს მუშათა კლასმა მოიგერია გარედან შემოსეული მტერი და დარწმუნებული იყავით, თუ თქვენ მტრებად დაგვიხვდით, მაშინ თქვენც გაგიმკლავდებით. მაგრამ სანამდის ეს უბედურება მოხდებოდეს, ჩვენ გვინდა დაბეჯითებით ვიცოდეთ: რა ხალხი ხართ? რას წარმოადგენთ? რას იცავთ? ვის ეტრფიალებით?

ბატონმა ლონტმა ნიღაბი მოიხსნა და თავისი ბოლშევიკური სახე გვიჩვენა. მე მგონია მან პარტიული იარლიკიც უნდა შეიცვალოს, თუ კი სოციალ ფედერალიზმი და ბოლშევიზმი სინონიმები არ არის.

მუშებმა, თავისი მთავრობის პირით, ბოლშევიკები მტრებად გამოაცხადა და სოციალისტ-ფედერალისტები, თვით ლონტის პირით, აცხადებენ, რომ ისინი თავის სტამბებში მათ პროკლამაციებს უბეჭდავენ და სასყიდელსაც ღებულობენ...

იოვან ნაველი.

ბათომი

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში.

21 აპრილს შესდგა პროფ. კავშირთა საბჭოს საგანგებო კრება. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) პრეზიდიუმის მოხსენება; 2) 60 პროცენტიან მომატების შესახებ; 3) მიმდინარე კითხვები.

ამხ. წულაძის წინადადებით დაემატა კიდევ ორი კითხვა: პირველი მაისის დღესასწაული და მუშათა ჯგუფის მონაწილეობა სასურსათო კომიტეტში.

პრეზიდიუმის სახელით მოხსენებას აკეთებს მარგიანი იმ დელეგაციის მოქმედების შესახებ, რომელსაც დავალებული ჰქონდა გუბერნატორთან მოლაპარაკება. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გუბერნატორმა საბჭოს წევრების მოხსნაზე უარი უთხრა დელეგაციას, რადგან ამით ისარგებლებენ ყაჩაღებიო. მუშათა კლუბის გახსნის ნება დართო და უბრძანა ბინების უფროსს გამონახოს სამისო ბინა. გაზეთის გამოცემის ნებაც დართო წინასწარი ცენზურით. ამ რიგათ, ამბობს მომხსენებელი, დელეგაციამ თუმცა სრულად ვერა, მაინც მიაღწია თავის მიზანს.

მოხსენება საბჭოს წევრებს არ აკმაყოფილებს. ისინი პრეზიდიუმს ბრალს სდებენ გადაჭარბებულ დათმობებში. მათი აზრით საჭიროა უფრო გაბედული და პირდაპირი მოქმედება.

მათ ეთანხმება პრეზიდიუმის წევრი პაპუაშვილი და, უარს ამბობს რა პრეზიდიუმის წევრობაზე, წინადადებას იძლევა აირჩიონ უფრო მოქმედი ელემენტები.

ამხ. წულაძე აღნიშნავს გარემოებას იმ ჯგუფში, რომელიც დღემდე ერთად მოქმედებდა და სურვილს გამოსთქვამს, რომ ერთ ნაწილში, რომელიც დღემდე საბჭოს უმრავლესობას ყველაფერში ეთანხმება, ეს გამოფხიზლება მიიყვანოს ლოღიკურ დასკვნამდე. მე ვფიქრობ, ამბობს ორატორი, რომ აქ შეეცდებიან უარყონ ეს გარემოება მაგრამ ფაქტის უარყოფა შეუძლებელია.

ნ. ბერძენიშვილი მკაცრის კრიტიკით ილაშქრებს პრეზიდიუმის წინააღმდეგ და მის უმოქმედობას აღნიშნავს აგრეთვე მუშებისათვის მიუღებელ საქციელს პრეზიდიუმისას ფარული გზებით საქმის მოგვარებისას ადგილობრივ მთავრობასთან და ასეთ უარყოფს ამგვარ პოლიტიკანობას.

ლაპარაკობენ აგრეთვე სხვებიც. არავის არ აკმაყოფილებს პრეზიდიუმის მოქმედება. მათი აზრით საჭიროა მოქმედება გადაჭრილი და პირდაპირი. გზა და გზა ისინი უარყოფენ თითქოს მასში არსებობდეს რაიმე უთანხმოება.

ბოლო სიტყვაში მომხსენებელი ამბობს, სხვათა შორის, რომ იძულებულია აღნიშნოს ის გარემოება მათის ჯგუფში, რასაც წულაძე ლაპარაკობდა. საბჭოს ჰქონდა თავისი პოლიტიკა და თუ ის ხანდახან იყო შეთანხმებითაც (соглашательскій), ეს ხდებოდა ადგილობრივი პირობების გამო. ჩვენ გავაკეთეთ, რაც და როგორც შევეძლო. ახლა აირჩიეთ უკეთესები. პრეზიდიუმის სახელით მოითხოვს განთავისუფლებას.

მიღებულ იქნა წინადადება პრეზიდიუმის ხელახალი არჩევნების შესახებ.

ამხ. წულაძე რიგს გარეშე გაცხადებისათვის სიტყვას იღებს. აქ ოპოზიციას ბრალი დასდეს,—ამბობს ის,—პოლიტიკანობაში და უარყოფს, რომ ის თავის დანიშნულების სიმაღლეზე არასოდეს იდგა. ეს არ არის მართალი. ჩვენ ყოველთვის აშკარა ბრძოლას ვაწარმოებდით. ჯერ კიდევ იანვარში, როცა საბჭომ მოისმინა პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ მოხსენება, ჩვენ ვითითებდით მუშებისათვის მიუღებელ ფარულ გზებით ადგილობრივ მთავრობასთან საქმის მოგვარების პოლიტი-

კაზე, რომელსაც თქვენ მხოლოდ დღეს იწყებთ. მაშინ ამავე პრეზიდიუმის წევრი [illegible] დუმდა ამაზე.

[illegible] ხმაურობა და თროცკის არ აძლევენ საშუალებას სიტყვის დათავებისას. ოპოზიცია მოითხოვს მისცენ საშუალება თროცკის ილაპარაკოს. ცოტა სიწყნარის ჩამოვარდნის შემდეგ წუჯიძე განაგრძობს:

რადგან მე არ მომცეს საშუალება სიტყვის დათავებისა, იძულებული ვარ წავიკითხო ის განცხადება, რომლის წაკითხვას ჩვენ ვფიქრობდით პირველი მაისის საკითხის გარჩევის დროს.

კითხულობს განცხადებას იმ მუშა მოსამსახურეებისას, რომლებიც არ იზიარებენ ბოლშევიკების პლატფორმას. როგორც განცხადებიდან ჩანს, ამ ჯგუფს გადაუწყვეტია დამოუკიდებლად იდღესასწაულოს პირველი მაისი.

თროცკის რამდენიმეჯერ აწყვეტინებენ კითხვას ყვირილით: „[illegible]“, „პროვოკაცია“ და სხვა. და მეორის მხრით მქუხარე ტაშით.

განცხადებამ არა სასიამოვნო იმოქმედა ხაზზე იმ ნაწილზე, რომელიც მიჩვეული იყო ფეიერვერკიოთ სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მიმართ და მათი „მთელი ბათუმისა და თელქის მშრომელთა“ სახელით გამოსვლებს.

კრება მეტად მღელვარე ხასიათს ღებულობს. დიდის ცდის შემდეგ თავმჯდომარეს საშუალება ეძლევა კრების ცოტათი დაწყნარებისა. ხდება არჩევნები პრეზიდიუმისა. ოპოზიციამ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო.

სიტყვიანის გამო სხვა კითხვები გადაიდო.

სატარიფო პალატაში

23 აპრილს შესდგა სატარიფო პალატის პრეზიდიუმის სხდომა.

დადგენილ იქნა:

— მეტეხის პალატის წევრებს მრავალოვსკის, რაჭინოვსკის და ერზინკიანს გამოეცხადოს კოლეგიების სახელისნაში მუშაობა [illegible].

— პრინციპიალურად შესაძლებლად იქნას ცნობილი—გაუდიდდეს ჯამაგირი ქალაქის კავშირის მიწის მზომელებს. კითხვა გადაეცეს პლენუმს.

— სავაჭრო-ოტრიალებში მომუშავე ხელოსნებს დაენიშნოს ჯამაგირი 2500 მანეთი, მის პირველ თანაშემწეს 2000 მანეთი, მეორე თანაშემწეს 1400 მანეთი, მოწაფეს 750 მანეთი ამა წლის 1 აპრილიდან.

— ვინზავოდის ქიმიური ქარხანა „ატომს“ უფლება მიეცა ნაწარმოების საზღვარ გარეთ გატანისა; დაუყოვნებლივ იქნას ხსენებული ქარხნის მუშათა შემადგენლობას და გაუდიდდეს მათ ჯამაგირი 15 აპრილიდან.

— სადგურ „რიონში“ მომუშავეთა სამუშაო ქირა გათანასწორებულ იქნას 1 აპრილიდან ქუთაისის რესტორნებში, კლუბებში და სასტუმროებში მომუშავეებთან.

— გუდაუთის ერობის გამგეობის მოსამსახურეთა არსებული ტარიფი ფინანსიური კომისიისა და ახალი მომატების შეთანხმებლობის გამო დამტკიცებულ იქნას 1 იანვრიდან.

— ტრამვაის მუშათა შემადგენლობა კვირაში დღე 6—8 საათამდე სამუშაოს მომატების გამო მომატების ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ უარყოფილ იქნას, ვინაიდან უკანასკნელი ტარიფის მომატების დროს პალატა ხელმძღვანელობდა მუშათა ფაქტიური ბიუჯეტით და ახალი მომატება ამ ბიუჯეტს არ შეეცვლება.

ს.-დ. პარტიაში

მუხრანი (დუშეთის მაზრა). უკვე წელიწადზე მეტია, რაც მუხრანში არსებობს საქ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაცია, რომლის წევრთა რიცხვი თანდათანობით იზრდება და ახლა ოთხმოცი წევრია. აქამომდე ორგანიზაციის მუშაობა ძლიერ მოისუსტებდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მუშაობა გაცხოველდა. ორგანიზაციის წევრთა საერთო კრება იმართება კვირაში ერთხელ—შაბათობით. კრებამ აირჩია 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დავალა როგორც ლექციების და მოხსენებების აგრეთვე სახალხო ლექციები, მოხსენებები და წარმოდგენები.

უკანასკნელი საერთო კრება მოხდა კვირას, 18 აპრილს. დღის წესრიგში იყო: 1) მოხსენება ისიდორე რამიშვილისა, 2) დუშეთის მაზრის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა ყრილობაზე წარმომადგენლების არჩევა, 3) პირველი მაისის შესახებ.

ის. რამიშვილმა გააკეთა ვრცელი მოხსენება, რომელიც კრებამ კმაყოფილებით მოისმინა. დუშეთის მაზრის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა ყრილობაზე წარმომადგენლების არჩევა კრებამ შემდეგისთვის გადასდო. პირველი მაისის შესახებ ხ. [illegible] წინადადებით ამორჩეულ იქნა 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა ამ დღის სადღესასწაულო ღირსეულად მოწყობა. დაევალა აგრეთვე პირველ მაისის შესახებ ფურცლების გავრცელება ხალხში. კრებამ დაადგინა აგრეთვე, რომ პირველ მაისამდე შეტანილ იქნას პარტიული ყრილობა.

სოფლელი.

— —

სამტრედია (ქუთ. მაზრა). 23 აპრილს შესდგა სამტრედიის რაიონულ საქ. ს.-დ. მ. პ. კომიტეტებისა და კომიტეტების წარმომადგენელთა თათბირი კონფერენცია. თათბირის მიზანი იყო გარჩევა საქ. ს.-დ. მ. პ. ცენტრ. კომიტეტის მიერ კონფერენციაზე განსახილველი წამოყენებული კითხვები. თავმჯდომარეობდა ამხ. არსენა ახობაძე. პირველ ყოვლისა გადასწყდა, რომ კრების მუშაობას მხოლოდ საინფორმაციო ხასიათი ექნება.

ამხ. ლევან ბუაძე აკეთებს მოკლე მოხსენებას ქუთ. სამაზრო კომიტეტის დადგენილების შესახებ. ამ დროს ყრილობაზე შემოდიან ამხ. კ. ჭუმბურიძე და რაჟდენ ბიქრაძე—ქუთ. სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელნი. ამხ. კ. ჭუმბურიძე ვრცლად ეხება ყველა წამოყენებულ კითხვებს. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მომხსენებელმა ჩვენი მთავრობისა და პარტიის მუშაობას, რაც მისი აზრით საერთოდ დამაკმაყოფილებელია. მომხსენებელი ხაზს გასმით აღნიშნავს საერთოდ პროფესიონალური კავშირთა და კოოპერატივთა მუშაობის სისუსტეს და უმთავრეს ყურადღებას აქცევს მიწის მომუშავეთა კავშირს. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კავშირი საჭიროა და ჩვენმა პარტიამაც მხურვალე მონაწილეობა მიიღოს მის მუშაობაში და გამოცდილი ხელმძღვანელები მიაწოდოს მას, შემდეგ მომხსენებელი შეეხო კონსტიტუციის საკითხს. დადგენილებებს შემდეგ დავბეჭდავთ.

ხ. ხვიჩია.

კულტურ. მუშაობა ჯარში და გვარდიაში

სამხედრო ჰოსპიტალი. 20 აპრილს ადგილობრივ კლუბში დაიდგა [illegible] სცენის მოყვარეთა მიერ. ახალქალაქელის თაოსნობით გამართულ იქნა წარმოდგენა. დადგმაში მონაწილეობდნენ ჯარისკაცთა გუნდი, ფეხზე მოსიარულე ავადმყოფი მხედრები, მოსამსახურენი და სხვ. პირველად წარმოდგენილი იქნა „პატარა კახის“ მეორე მოქმედება, რომელშიაც თავისი როლი კარგად შეასრულა მ. ახალქალაქელმა. არა უშავდა აგრეთვე ვანიაძესაც ვიგის როლში. სხვები ცოტას მოისუსტებდნენ. მეორედ რუს მოსამსახურეთა ძალებით დადგეს ერთი მოქ. ვოდევილი რუსულად. შემდეგ დადგმულ იქნა ერთი ვოდევილი „[illegible]“, სადაც მ. ახალქალაქელმა დიდი ხასიათი გამოიჩინა.

შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში. საერთოდ საღამო კარგად ჩატარდა. კლუბის გამგეობა უღრმეს მადლობას უცხადებს შემდეგ ამხანაგებს: მ. ახალქალაქელს, ფხოველიშვილს, კაჩნიეგს და ვანიაძეს მათი დაუღალავი მუშაობისათვის.

პ. ლიხელი.

მუშათა შორის

ფოთი. [illegible] მარტს შესდგა აქაური ხე-ტყის ქარხნების მუშების საერთო კრება, რომელზედაც გამომუშავებულ იქნა შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) თუ ქარხანა დაიწყებს მუშაობას დილით და შემდეგ გაჩერდება რაიმე მიზეზის, იმ დღის ქირა სრულიად მიეცეს მუშებს. 2) უმუშევრობის დროს მუშები მოითხოვენ ჯამაგირის ნახევარს, 3) ფულის დარიგება უნდა ხდებოდეს სამუშაო საათებში, 4) ქვემო და წვრილი მწარმოებლების ხარჯზე ნახევარი ქირის შენახვით სანამ ავადმყოფს შეეძლება სამუშაოს განგრძობა. 5) აბანო მუშებისათვის თვეში ორჯერ. ყველა ზემოხსენებული მოთხოვნილებანი იქნა წარდგენილი მწარმოებელთა კავშირში, ასლი კავშირების საბჭოში. საბჭომ განიხილა მუხლობრივ და მიიღო ყველა მუხლები მეოთხე მუხლის მცირე შესწორებით. მაგრამ მწარმოებლებს ეს მოთხოვნილებები გამოიტანა დიდ და საქმე მომრიგებელ კამერამდე მივიდა. საქმე ჯერაც არ გათავებულა, მაგრამ იმედია ამ მოკლე ხანში ის დაბოლოვდება მუშების სასარგებლოთ. ნამდვილად მუშების ეკონომიურ პირობებს ეს მოთხოვნილებები არსებითად ვერ აუმჯობესებს, რადგანაც მათი დღიური ჯამაგირები მეტის მეტად მცირე და არსებობა შეუძლებელია. როცა ზემოხსენებულ მოთხოვნილებებს იმუშავებდნენ, მსჯელობაში ჰქონდათ პირველი აპრილიდან სატარიფო პალატა. პალატა გამოიმუშავებდა მომატებას, მაგრამ, როგორც გავიგეთ, მომატება ადგილზე სატარიფო პალატის ხელმძღვანელობით და ჩნება ისევ ის ქირა, რაც არის ეხლა. თუ ეს მართალია, იმ შემთხვევაში ხსენებული დარგის წარმოებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგანაც ცხოვრება მეტის მეტათ გაძვირდა იანვრის შემდეგ. ამ გარემოებამ დიდი დაღი დაასვა მუშების ცხოვრებას, სიძვირეს ამ ბოლო დროს ხელი შეუწყო ლტოლვილების ჩამოსვლამ, რაც დიდს უკმაყოფილებას ჰბადებს საზოგადოებაში, ჯერ იყო და ისედაც არ იშოვებოდა სანოვაგე და როცა ამოდენა ლტოლვილები მოემატა, ეხლა სულ აღარ იშოვება; რაც იშოვნება იმას ჩვენი მუშა ვერ იყიდის. ამისათვის სანამ უზრუნველობის მოწამე გავხდებოდეთ, მანამ უნდა მიექცეს ყურადღება საერთოთ აქაურ მუშებს და კერძოთ ზემოხსენებულ დარგს, ვინაიდან მათი დღიური ჯამაგირები ყველა დარგის მუშებზედ ნაკლებია. ამ დარგის მუშა იღებს კვირაში 750 მ. მაშინ, როცა მჭადის ფქვილი ღირს 500 მანეთი, ყველი 80 მან. და სხვა ხომ სულ მიუწვდომელია, ამ აქედან დარწმუნდება ყველა გულშემატკივარი მკითხველი შეუძლია თუ არა ასეთ პირობებში მუშის არსებობა, რასაკვირველია, არა, მაშ, უნდა ვეძიოთ გამოსავალი, რომელიც შეუმსუბუქებს მუშებს ამ მძიმე პირობებში ცხოვრებას. ამის გამოსავალი არის ორი: ერთი, როგორც შრომის მინისტრმა გააკეთა მოხსენება მუშათა მაღაზიის დაარსების შესახებ, და მეორე —ქირის მომატება. ორში ერთი უნდა მიაწოდოთ დამქირავებლებმა მუშებს, სანამ მათში უკმაყოფილება იჩენდეს თავს. ნათქვამია, ვინც მოითმენს ის მიიღებს, და ჩვენც ბევრი გვითმენია და ვითმენთ და ვიტყვით ყოველივე გაჭირვებას, მაგრამ ბოლოს უნდა უჩნდეს მოთმენას.

ხოთ ხაფთაძე.

კონფერენცია

გორი. 4 აპრილს სახალხო გვარდიის სამაზრო შტაბის შენობაში ქ. გორში შესდგა მთელი მაზრის სახალხო გვარდიის შტაბებისა და რწმუნებულების წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციას თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. [illegible], მდივნათ ნიკო სიხარულიძე. წარმომადგენლები იყვნენ შემდეგი ადგილებიდან: ჯავა, ცხინვალი, ახალქალაქი, გორი, ქარელი, ბორჯომი, ხაშური, მეჯვრის ხევი და ქვემო ჭალა. კონფერენციას დაესწრო აგრეთვე მთავარი შტაბის წარმომადგენელი ამხ. ერ. სირბილაძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ივ. ქარცივაძე და გორის სამაზრო ერობის სადმინისტრაციო ნაწილის გამგე ამხ. ოქუაშვილი.

დღიურ წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) მიმდინარე მომენტი, 2) მოხსენებები ადგილებიდან და 3) მიმდინარე საკითხები.

მიმდინარე მომენტის შინაარსიანი მოხსენება გააკეთა ამხ. სირბილაძემ.

მოხსენებები ადგილებიდან. პირველ მოხსენებას აკეთებენ ჯავის წარმომადგენლები ამხ. ზაალიშვილი და გასიევი. მომხსენებლები ვრცლათ ახასიათებენ ადგილობრივ პოლიტიკურს და ეკონომიურ მდგომარეობას ჯავაში, ხალხის (მთა ოსეთის) სულიერს განწყობილებას და აღნიშნავენ, რომ დღეს მთელს რაიონში სიმშვიდეა, ხალხი მთავრობას ნდობით უყურებს და ჯერ-ჯერობით არსად ბოლშევიკური გამოსვლების ნიშნები არა ჩანს. თუმცა ეს ასეა, მაგრამ მომხსენებლებს საჭიროთ მიაჩნიათ ჯავის ადმინისტრაციის აპარატის გაძლიერება, რეგულიარული ჯარის იქ ჩაყენება და ხიდიდან კავკასიონისაკენ გამავალი გზების დაჭერა.

ცხინვალის წარმომადგენელი ამხ. გელაშვილი: ჯერ-ჯერობით ცხინვალში მდგომარეობა ნორმალურია [illegible]. მხოლოდ სოფლებში ყაჩაღობამ იჩინა თავი და საჭიროა მის წინააღმდეგ სასწრაფო ზომების მიღება. განსაკუთრებით მთელის ჯავისა და როკის მხრიდან, სადაც ბოლშევიკური მოძრაობას ღრმათ აქვს გადგმული ფესვები. საჭიროა ჯარის ჩაყენება ჩვენს რაიონში და ადმინისტრაციის გაძლიერება.

მეჯვრისხევის წარმომადგენელი წიფურია: მეჯვრისხევში ამ ჟამად სრული სიწყნარეა და არავითარი გამოსვლებს იქ ადგილი არ აქვს. მხოლოდ ერთის გარემოებას აქვს ადგილი იქ, რომელიც ჩვენს მუშაობას ხელს უშლის,—ეს გამგეობის არა სასურველი მოქმედება, რომლის წინააღმდეგ ხალხი საშინლათ არის აღელვებული. საჭიროა ამ გამგეობის გადაყენება და უფრო საიმედო პირების არჩევა.

ბორჯომის წარმომადგენელი მე. ხუციევი: ამ ჟამათ ბორჯომის რაიონში სიწყნარეა და გამოსვლებს ადგილი არა აქვს. მხოლოდ უკმაყოფილებას იწვევს ხეობაში ხე-ტყის გამწვავებული საკითხი. ამ ხეობაში მოსალოდნელია ყაჩაღების თარეში და რომ ეხლავე მიღებულ იქნას საჭირო ზომები, ჩვენი შტაბი მოითხოვს დროებით ათი ცხენოსანი გვარდიელის ნებართვას ყაჩაღების სადევნელათ.

ხაშურისა, ქარელის და ახალქალაქის რაიონების წარმომადგენლების მოხსენებებიდან ირკვევა, რომ ამ რაიონებში ყაჩაღების თარეშმა უმაღლეს წერტილამდე მიაღწია. ყაჩაღები აწყობენ მობილიზაციას თავიანთი მომხრე ძალებისას, ცარცვავენ და იტაცებენ ხალხს, ხშირია სოფლის მოწინავე პირების გატაცება და მკვლელობა, ემუქრებიან სოფლებში თუ რაიონებში მომუშავე ჩვენს ამხანაგებს და ამ ვაჟბატონების თავგასულობა უკიდურეს საზღვარს აღწევს. ყველა წარმომადგენლები მოითხოვენ შეიარაღებულ ძალთა მობილიზაციას ყაჩაღების სადევნელათ, ადმინისტრაციის გაწმენდას და გაჯანსაღებას და მთელი მაზრის ბოროტ-მოქმედთაგან სასწრაფოთ გაწმენდას.

ამხ. ოქუაშვილი (სამაზრო ერობის სადმინისტრაციო ნაწილის გამგე). მომხსენებელი ადასტურებს რაიონების წარმომადგენელთა მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, ადასტურებს ყაჩაღების თარეშს მაზრაში, ასახელებს ყაჩაღების გვარებს და ამბობს, რომ მას აქვს უტყუარი ცნობები იმის შესახებ, თუ ვის აქვთ ბინა მფარველებად, ვინ უწყობს ხელს და რამდენათ ადვილია მათი დევნა-დაჭერა. ყაჩაღებს მალე მოეღებოდა ბოლო, რომ ადმინისტრაცია არ მოისუსტებდეს, ამბობს მომხსენებელი. ერობა ყოველ ღონეს ხმარობს ადმინისტრაციის გაჯანსაღებისათვის, მაგრამ ჯერ-ჯერობით სასურველ ნაყოფს ვერ მივაღწიეთ. ამ დღეებში მივიღეთ მილიციის გადიდებულ ჯამაგირებს და ამბობს, ეს საშუალება წმინდას დახვდებს ადმინისტრაციის სისუსტის გამოსწორებას. ოქუაშვილი ასახელებს იმ რაიონებს, სადაც ყაჩაღები თარეშობენ და ამბობს, რომ ბოროტ მოქმედთა მთავარი საიმედო ბაზა არის ატენის ხეობა. მიღებულია საჭირო ზომები ყაჩაღების წინააღმდეგ და თუ გვარდიაც დაგვეხმარება, სასურველ მიზანსაც მივაღწევთ. მილიციის მოწყობა [illegible] და რომ სასურველ დონეზე დავაყენოთ ადმინისტრატიული [illegible], საჭიროა თემების მეტი ყურადღება.

სამაზრო შტაბის თავმჯდომარე ამხ. ი. გაბუნია, შტაბის წევრები ბ. ილურიძე, ლ. მაჭავარიანი და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ი. ქარცივაძე—თავიანთ სიტყვებში ადასტურებენ მაზრის ზოგიერთ რაიონებში გამწვავებულ მდგომარეობას, ყაჩაღების თარეშს, საჭიროთ სცნობენ ძლიერი ადმინისტრატიული აპარატის შექმნას, მილიციის გაჯანსაღებას და სასწრაფო ზომების მიღებას ყაჩაღების [illegible]. ზემოხსენებული ამხანაგების დასკვნა ასეთია: გვარდიის მობილიზაცია, სასწრაფო ზომების მიღება ბოროტ მოქმედთა წინააღმდეგ, რომლის ინიციატივაც უნდა იკისროს ერობამ.

ამ მოხსენებების შემდეგ კონფერენციამ საკითხი ამოწურულად მიიჩნია და ღებულობს შემდეგს დადგენილებას: „მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები მაზრაში ყაჩაღების ალაგმვისა და სამაზრო შტაბისა და მაზრის ერობის გამგეობასთან ერთად. აგრეთვე მიღებულ იქნას ჩქარი ზომები, რომ მოწვეულ იქნას მაზრის ერობის თემების წარმომადგენლები, ადგილობრივ სამაზრო ორგანიზაციათა და პარტიათა წარმომადგენლების თანადასწრებით, სადაც გამორკვეულ იქნას საკითხი მაზრაში ადმინისტრატიული აპარატის მოწყობის შესახებ და ბოროტ-მოქმედთა პასუხისგებაში მიცემისა“.

ამასთან ერთად კონფერენციამ გამოსთქვა სურვილი იმის შესახებ, რომ ერობამ და გვარდიამ ხელი-ხელ ჩაკიდებულმა იმუშაონ და რესპუბლიკისა და თავისუფლების მტრებს შეურიგებლათ გაუმკლავდნენ.

ნიკო გურული.

წერილი რედაქციის მიმართ

(ღია წერილი ტფილისის მკერავ ქალთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობას)

იძულებული ვარ, როგორც ერთ-ერთი დიდი რაიონის წარმომადგენელი პრესის საშუალებით მოგმართოთ, რათა დააკმაყოფილოთ რაიონის წევრთა კანონიერი მოთხოვნილება, და მოიწვიოთ საზოგადო კრება, გაიცნოთ მკერავ ქალთა კავშირის მოღვაწეობა, როგორც წევრთა შემადგენლობას, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ პირთა. ჩვენ გვესმის ის მდგომარეობა, რის მიზეზითაც აქამდის ვერ იწვევდით საზოგადო კრებას, ეს იყო ის, რომ სარევიზიო კომისიას არ ჰქონდა გამგეობისა და საერთოდ კავშირის მოქმედება გაშინჯული, დღეს კი ეს მიზეზები თავიდან აცილებული არის. თითქმის ორი თვე არის მას შემდეგ, რაც სარევიზიო კომისიამ მუშაობა დაამთავრა და თქვენ საზოგადო კრებას არ იწვევთ, ამით მუშა-ქალებში სრული არევ-დარევა ხდება და მე, როგორც ზემოხსენებული რაიონის წარმომადგენელი, მოვითხოვ რაც შეიძლება მალე იქნეს საზოგადო კრება მოწვეული. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ შექმნილ მდგომარეობით სარგებლობენ ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენი და [illegible] მასას იკრებენ თავის გარშემო, თითქოს მათ შეუძლიათ მუშა-მკერავ ქალებისთვის [illegible], პურისა და შაქრის უფასოდ დარიგება. ამით თავიანთ პარტიულ კაპიტალს იდიდებენ და მკერავი ქალები შეცდომაში შეყავთ ისეთ პირებს, რომლებმაც წარსულში მკერავ ქალთა პროფ. კავშირში დანაშაულობები მოუძღვნეს, ასეთი პირები დღეს გადაყენებულები არიან კავშირიდან, მაგრამ მათი კომპანია სხვა და სხვა [illegible] პირების საშუალებით ცდილობს [illegible] გამოიტანოს და ძველებურად ისარგებლოს დღევანდელი შექმნილ მდგომარეობით, [illegible] კარგად იცის, რომ ჩვენ მოწინააღმდეგეთ ზარალის მეტი არა მოსცეს რა კავშირს, რაც მათ [illegible] საზოგადო კრებაზე. ყველაფერს ამას ვიღებ მსჯელობაში და გამგეობას ვაძლევ წინადადებას დაუყოვნებლივ მოიწვიოს საზოგადო კრება.

ავლაბრის რაიონის მკერავ ქალთა წარმომადგენელი ოლიმპიადა ბაქრაძე.

ცნობები

(პასუხად ამხ. ერისტოს [illegible])

გასულ ზაფხულს ჩემ თბილისში არ ყოფნის დროს [illegible] ორი ახალი [illegible]; ერთი იყო ანტონ ხელაძე, მეორეს გვარი არ მახსოვს, ქუთაისელია, ახლაც იქ უნდა იყოს. თბილისში დაბრუნებისას მითხრეს, რომ ანტონ ხელაძე ტიფით გახდა ავად და გარდაიცვალა. ამ წერილებით შემდეგაც ვერაფერი გავიგე. ამის შესახებ თქვენს შეკითხვაზე მეც ეგ გიპასუხე ხელ წერილით. ხოდ. ვადაჭკორია.

განცხადება

30 აპრილს დღის 12 საათზე სახალხო გვარდიის ცხენების საჯდომის ეზოში (ქახეთის ქ. № 38) დანიშნულია დაწუნებული ცხენების

საჯარო ვაჭრობით

გაყიდვა.

(1433—1—1)

ექიმი

ნიკოლოზ მახვილაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—5)

ექიმი

გენრიხ ისააკის ძე ვოლოხი

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებებით ავადმყოფებს დილით 1—2 ს, საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1304 25—2)

მედიცინის დოქტორი

ივ. ღოღაძე

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა, მიღება საღამოს 4—7 საათ. მეჩნიკოვის ქუჩა, სახლი № 3, ბინა № 5. პლეხანოვის პროსპექტის შესახვევში (1259—34—5)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღის ქუჩა № 33. (1288 25—3)

დოქტორი

გ. გ. მეჰრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა—ქლექი და სისხლის. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრონ კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92, მიღება ყოველ-დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1350 25—1)

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

იღებს სპეციალურად: სიფილისით (შეშხაპ. 606—914), ვენერიულ და საშარდე ორგანოებით სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე დილ. 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. [illegible] ქუჩა № 72, ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (1224—თ.)

კბილის ექიმი

ე. თ. ღორის-[illegible] ჯიბლაძისა

და მისი ასისტენტი მ. ა. [illegible] იღებენ კბილით ავადმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ ცუდათ მოწყობილ კბილებს. ავადმყოფებს მიიღებენ დილის 10—2 საათ. და საღ. 4—6 საათ. [illegible] ქუჩა № 13. ტელეფონი 3—63. (24—5)

ექიმი

სოლომონ ისააკის ძე ვოლოხი

იღებს ქალთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. [illegible] ქ. № 5. (1303—25—2)

ექიმი ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 116, [illegible]. ტელ. 14—28 (1343 25—1)

ტფილისში

პროფესორი დოქტორი მედიცინისა

ვ. გ. მოსეშვილი

გადავიდა გიორგის ქუჩაზე ა. ი. არჯევანიძის სახლში, № 5, ქაშვეთის ეკლესიის ახლოს, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. მიღება შინაგანი და ნერვების სნეულებებით ავადმყოფთა დილით 12—1 ს, საღამოთი 5—8 საათამდე. (1337—25—1)

ექიმი

კ. გ. მართანოვი

სპეციალურად კანის და ვენერიული სნეულებები (სიფილისი „606“ და 914 შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. [illegible] ქ. № 9 [illegible] ქუჩის კუთხე, [illegible] (1323 25—2)

ოზურგეთში

ექიმი **აბაშიძე**

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და [illegible] „ტუბერკულინით“ და „[illegible]“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 336)

ექიმი [illegible]

იღებს შინაგან და ნერვების სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—[illegible] საათამდე. [illegible] ქუჩა № [illegible] [illegible]

ექიმი ქალი

მ. მ. ალფეევი

[illegible] ქუჩა № 26. იღებს ყოველ დღე 12—2 საღამოს 6—7. სპეციალურად [illegible] ქალების ავადმყოფობას. [illegible] ვენერიული ავადმყოფობას.

ექიმი

ნ. დ. ცერიაშვილი

იღებს ქალთა და ბავშვების სნეულებებით ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე შუადღ. 1—3 და საღ. [illegible]—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 23 [illegible] ქუჩისა. (1325—25—2)

კერძო სამკურნალო

ყოველნაირ ავადმყოფთათვის

ექ. ე. შ. წინამძღვრიშვილისა

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და [illegible] ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87 იღებს 8—3 ს. ვენერიული: სიფილისით და კანის ავადმყოფების მიღება აგრეთვე საღამოთი 4—7 ს.

[illegible] დილ. 8—11 ს.

სამკურნალოში ავადმყოფებს იღებენ შემდეგი ექიმები:

ი. კ. აბაკელია—შინაგან ავადმყ.

დ. მ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვთა სნეულ.

ნ. ნ. ჯავახიშვილი ნერვებ. და ფსიხიატრია.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი.

ა. გ. მაჭავარიანი—საყ. ასტაქერი (ქირურგიული) სნეულ.

შ. მ. წინამძღვრიშვილი—ვენერიული, სიფილისის და კანის ავადმყ.

ნ. ს. [illegible]—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.

ზ. მ. ცხვედაძე—თვალების სნეულებ.

მ. დ. [illegible]—დედათა სნეულ. (ქალების და მეანობა).

სამკურნალოში ხმარობენ: კონსულტაციები, ოპერაციები, ელექტრიზაციები, [illegible] კანის ქვეშ [illegible], შეშხაპუნება „606“ და „914“. აგრეთვე მიღება [illegible] ქიმიური გამოკვლევანი. (ს. 25—2)

[illegible]